ეროვნული ბიბლიოთეკა


# სარბიელი

სპორტული გაზეთი | შაბათი 22 ივნისი 2002 №114 (1636) | ფასი 50 თეთრი






## PENTA CAMPEAO?

# კორეა-იაპონია 2002 მეოთხედფინალი

# №57 ინგლისი 1:2 ბრაზილია

21 ივნისი. შიზუოკა (იაპონია). 11.30, „შიზუოკა ეკოპა". 47 436 მაყურებელი

1:0 ოუენი (23), 1:1 რივალდო (45), 1:2 რონალდინიო (50)

1 სიმენი

მწვრთნელი სვენ-გორან ერიკსონი

5 ფერდინანდი 6 კემპბელი

2 მილსი 3 ე. კოული

8 სქოულზი

7 ბექემი 21 ბათი 4 სინკლერი

10 ოუენი 11 ჰესკი

9 რონალდო 11 რონალდინიო

10 რივალდო

6 რობერტო კარლოსი 2 კაფუ

15 კლებერსონი

8 ჟილბერტო სილვა

4 როკე ჟუნიორი 3 ლუსიო 5 ედმილსონი

მწვრთნელი ლუიშ ფილიპე სკოლარი

1 მარკოსი

შეცვლა: სინკლერი – 23. დაიერი (56), რონალდო – 20. ედილსონი (70), ოუენი – 20. ვასელი (79), კოული – 17. შერინგემი (80)

გაფრთხილება: სქოულზი (75), ფერდინანდი (86)

გაძევება: რონალდინიო (57)

მსაჯები: ფელიპე რამოს რიზო (მექსიკა); ექტორ ვერგარა (კანადა), მოჰამედ საიედი (მალდივი)

| | | |
|---|---|---|
| 20 | ჯარიმა | 18 |
| 5 | კუთხური | 2 |
| 6 | კარისკენ დარტყმა | 9 |
| 2 | კარში დარტყმა | 4 |
| 2 | თამაშგარე | 6 |



რივალდომ ინგლისელებს შესვენებაზე მშვიდად გასვლა არ აცალა

# ბრაზილიამ ინგლისს COME ON ENGLAND დაავიწყა

ბაატა კვანტალიანი

**რივალდო,** რონალდოც, მაგრამ უფრო რონალდინიო — ჯადო ფეხის პატრონი კეთილსახიანი ბიჭი, ბრაზილია იმ მეცხრე ცის გზას რომ გაუყენა, საიდანაც ხელისგულივით მოსჩანს მსოფლიო. ბრაზილია ნახევარფინალშია. ბრაზილია ის მეტეორია დაბლა დაშვებას რომ არ აპირებს. ბრაზილია ადუღებული სისხლია, გუშინ წყალწყალა ინგლისი ნისლივით უსახური რომ გახადა.

ინგლისი... ეპოქალური მნიშვნელობის მატჩში ასე არ მარცხდებიან. დიადი 1966 წლით შეგულიანება, საჩემპიონო ილუზიებით გაბრუება, გაუთავებელი COME ON ENGLAND-ობა დღეს უკვე თავის მოტყუებას ჰგავს. ინგლისი შეცდა, რადგან თავის ნაკრებში მაძალლ სეთურს აყოლილი მორჩილი ბრბოს მაგვარი სიტუაცია ვერ დაინახა. ინგლისი თუნდაც იმიტომ ვერ გაიმეორებდა 36 წლის წინანდელ ტრიუმფს, რომ „მე" დაკარგული, ინგლისურ სილაღეზე უარისმთქმელი შეეცადა ბრაზილიის გაჩერებას. ერიკსონის ჩახლართულმა მიკროსქემებმა ინგლისს ყველაზე ინგლისური — დინამიკა დაუწვა. შიშნარევი თეორიებით დაზეთილ მლოლავ მანქანებს კი ბრაზილია ვერასდროს გაუჩერებიათ. გუშინ თეზისებით გაკვანძული და შეშინებული ერიკსონი ვნახეთ, რომელმაც ის ერთადერთი კოზირი თავად გაახუნა, ეფექტურ ტაქტიკურ გადაადგილებაზე დამყარებული ძლევამოსილება რომ ერქვა აქამდე და დღემდე ამ გზით რომ იმორჩილებდა ინგლისს.

ერიკსონმა ვერ გარისკა, რადგან მის ზედმეტად მოწესრიგებულ ტაქტიკურ სვლებში ეს ფაქტორი არ ზის, თანაც მშიშრები ვერ რისკავენ, არამც და არამც არ ეთქმის რისკი მატჩის დამთავრებამდე ათი წუთით ადრე შერინგემის და ვასელის მოედანზე გაყვანას. იმ წუთისთვის თითქმის ყველაფერი დამთავრებული იყო — ინგლისი აგონიაში გახლდათ. აქ იმაზე არ არის ლაპარაკი, რომ შვედს აუცილებლად უნდა გამოეყენებინა 57-ე წუთზე მატჩის გმირი რონალდინიოს უსაფუძვლო გაძევებით მიღებული უპირატესობა. ინგლისისთვის სავალალო ის უფრო იყო, რომ ზემოთქმული ეპიზოდი უფრო დამთრგუნველი ერიკსონისთვის აღმოჩნდა, შვედმა ელემენტარულად ვერაფერი ილონა გუნდის გადასაწყობად, ათკაციან ბრაზილიას კვლავაც ძველი სურათი შერჩა — ბექემი, რომელმაც ეგრეც ვერ დაამტკიცა, რომ მარტო ვარცხნილობის სამარიაჟოდ არ იყო კორეა-იაპონიაში ჩასული, ოუენი, გადამწვარი ბიჭი, რომლისთვისაც მეორე საჩუქრის გაკეთება მეტოქეს აზრადაც აღარ მოსვლია და თავქარიანი დენი მილსი 1966 წლის გამეორების მეოცნებეთაგან ერთადერთი რომ დაჭენაობდა შემართებით.

დაღებით ემოციებსაც მივხედოთ, ბრაზილიამ დაცვის უსუსურობაზე მითი ნაწილობრივ დაარღვია, ნაწილობრივ, რადგან ილაჯგაწყვეტილი მეტოქე ჰყავდა, მაგრამ მიუხედავად ამისა, ბრაზილია მაინც დიდებული იყო. დიდებული იყო მუხლჩაუხრელი ჩია რობერტო კარლოსის გონიერებით, კლებერსონობაზე მეტის გამკეთებელი კლებერსონის დახვეწილობით, დიდებული იყო ლუსიოს ერთი წახდენის გამომსწორებელი საბრძოლო ქინძით, სამი კაცის დამჭერი რონალდოთი, სუპერრივალდოობით და ფანტასტიკური რონალდინიოს გამჭრიახობით. ასეთი გოლის გატანა ერთეულებს თუ შეუძლიათ — უზადო ტექნიკა, სიზუსტე, გონიერება, ეფექტი... რამდენი რამ ჩააქსოვა იმ ერთ დარტყმაში ბრაზილიელმა... რონალდინიოს შექმნილი იყო ტეტრაკამპეონთა საპასუხო გოლიც. მოედნის გვერდით ხაზთან ბექემის კუნტრუშით რომ ჩაეყარა საფუძველი, სხარტი ბრაზილიელის სლალომით რომ გაგრძელდა და რივალდოს საბილიარდო დარტყმით დასრულდა.

„დიდი ფილიც" ვახსენოთ, რომელიც ნაკლებად ურევია სამხრეთამერიკელთა გამარჯვებაში. ალბათ, თვითკმაყოფილიცაა სკოლარი, რაკილა იმ ერთადერთი ხერხის გამოყენება დასჭირდა, სამწვრთნელო ხელობით თავს იწონებს. ნუ დავუკარგავთ ამ კაცს ამ ღირსებას — სკოლარიმ იცის, როგორ არ გაუშვას გოლი მაშინ, როდესაც იგებს მისი გუნდი.

ბრაზილია ნახევარფინალშია და იმ მეცხრე ცას უახლოვდება, საიდანაც ხელისგულივით მოსჩანს მსოფლიო...



უხერხულად დაცემული დევიდ სიმენი ლამის წელში გადატყდა

## სტენოგრამა

**მე-6 წუთი:** რივალდოს 25 მეტრიდან დარტყმული არაზუსტი გამოდგა.

**მე-8 წუთი:** რივალდოს დარტყმა მცველმა აისხლიტა.

**მე-14 წუთი:** რობერტო კარლოსის საჯარიმომ მიზანს ვერ უწია.

**მე-19 წუთი:** რონალდომ რივალდოსთან „კედელი" გაითამაშა და კარშიც დარტყა. დევიდ სიმენმა პოზიცია სწორად შეარჩია.

**23-ე წუთი:** ემილ ჰესკის შორეულ პასზე მაიკლ ოუენმა ლუსიოს შეცდომით ისარგებლა და მეკარესთან პირისპირ დარჩენილმა ანგარიში გახსნა.

**28-ე წუთი:** დევიდ ბექემმა კარს ააცილა.

**31-ე წუთი:** ემილ ჰესკის თავური კარს ასცდა.

**32-ე წუთი:** რობერტო კარლოსის ძლიერი დარტყმა ოდნავ უზუსტო იყო.

**42-ე წუთი:** რობერტო კარლოსის გასროლილი მცველს მოხვდა და მეკარე დაეუფლა.

**45-ე წუთი:** რონალდინიოს გრძელი სოლო-რეიდი რივალდომ უზუსტესი დარტყმით დააგვირგვინა — 1:1.

**50-ე წუთი:** რონალდინიოს 30 მეტრიდან დარტყმული საჯარიმო უცნაური ტრაექტორიით დევიდ სიმენის ზურგსუკან კარში ჩაეშვა.

**74-ე წუთი:** დენი მილსის დარტყმული უშედეგო გამოდგა.

**82-ე წუთი:** დევიდ ბექემის საჯარიმო დარტყმა მცველებმა განმუხტეს.

## მატჩის შემდეგ

### სვენ გორან ერიკსონი
*ინგლისის ნაკრების მწვრთნელი*

როცა მეტოქე 10 ფეხბურთელით დარჩა, ტემპის მომატება გვმართებდა, დავაპირეთ კიდეც, მაგრამ ვერ შევძელით, დაღლილები ვიყავით. თანაც, ბრაზილია უკეთ ათამაშდა. რონალდინიოს გაგდების შემდეგ ერთი რეალური მომენტიც ვერ შევქმენით, ბრაზილიელებმა ბურთი დაიჭირეს.

ორად ორი შეცდომა დავუშვით პირველი ტაიმის ბოლოს და მეორეს დასაწყისში. ორჯერვე გოლი მივიღეთ და ამან გაგვტეხა. ნახევარფინალში გასვლა ძალიან გვეწადა, პირველი ნახევრის დამატებით დრომდე საქმე კარგადაც მიგვყავდა, თუმცა ბრაზილიელები მეტად ტექნიკურნი არიან. ვულოცავ მათ ამ გამარჯვებას, ნახევარფინალში დამსახურებულად გავიდნენ.

### ლუიშ ფილიპე სკოლარი
*ბრაზილიის ნაკრების მწვრთნელი*

ბრწყინვალედ შესრულებული სამუშაოს შემდეგ თავს ბედნიერად ვგრძნობ.

ვფიქრობ, მსაჯმა უსამართლოდ გაგვიძევა რონალდინიო. განსაკუთრებული არაფერი მომხდარა. ფეხბურთელი ბურთისთვის იბრძოდა, მას განზრახ არაფერი ჩაუდენია.

მატჩისთვის მომზადებისას იმ შემთხვევასაც ვითვალისწინებდით, ათი ფეხბურთელით რომ დავრჩენილიყავით. ამისთვის საგანგებოდ ვვარჯიშობდით. ზოგიერთები მეუბნებიან, ეგ რაღა საჭიროაო, თუმც ხომ კარგად დაინახეს, რა დროს გამოგვადგა.

ასეთი გამარჯვების ქინით შემართული ფეხბურთელები ეროვნულ ნაკრებში არასდროს მინახავს.

# კორეა-იაპონია 2002 მეოთხედფინალი

## №58 გერმანია 1:0 აშშ

21 ივნისი. ულსან მუნსუ (კორეა). 16.30 „ულსან მუნსუ სტადიუმ". 37 337 მაყურებელი

ხ0 ბალაკი (39)




შეცვლა: მაკბრაიდი – 11. მეტისი (58), შნაიდერი – 16. იერემისი (60), ჰეიდუკი – 13. ჯოუნსი (65), ნოივილი – 17. ბოდე (80), მასტროენი – 8. სტიუარტი (80), კლოზე – 20. ბირჰოფი (88)

გაფრთხილება: ლუისი (40), პოუპი (41), კელი (66), ნოივილი (68), რეინა (68), მასტროენი (69), ბერჰალტერი (70)

მსაჯები: ჰიუ დალასი (შოტლანდია); ფილიპ შარპი (ინგლისი), ალი ალ-ტრაიფი (საუდეთი)

| | | |
|---|---|---|
| 14 | ჯარიმა | 23 |
| 6 | კუთხური | 6 |
| 6 | კარისკენ დარტყმა | 11 |
| 2 | კარში დარტყმა | 6 |
| 2 | თამაშგარე | 4 |

დავით თავართქილაძე

**ამ დღეს** ერი თორმეტი წელი ელოდა — გერმანელების საყვარელი ბუნდესნაკრები როგორც იქნა, ნახევარფინალში გავიდა.

ლუდსა თუ რაინის ხეობაში მოსული ყურძნის არომატულ ღვინოებს გერმანიაში უხვად დაყლურწავდნენ — რუდი ფიოლერის გუნდმა მართლაც სასწაული შეძლო.

ამერიკელთა ნაკრებს კი ალმაცერად ნუ შეხედავთ, იმის თქმაც არ ეგების, გერმანელებს სუსტი მეტოქე ჰყავდათო. აბა, გაიხსენეთ, ბრიუს არენას ბიჭებმა პორტუგალიას როგორ მოუგეს, ხოლო მეოთხედფინალში ის მექსიკა დაამარცხეს, რომელმაც იტალიას ლამის ჯგუფში ჩატოვა.

ოკეანისგაღმელებმა გუშინაც ჩინებულად ითამაშეს, მატჩის მთელ რიგ ეპიზოდებში მსოფლიოსა და სამგზის ჩემპიონებს ბღლვირი ადინეს, საგოლე მომენტებიც ბლომად შექმნეს, მაგრამ ნახევარფინალისტის ბედი გერმანელთა უფრო მაღალმა კლასმა გადაწყვიტა.



ბუნდესნაკრებს სანახევარფინალოდ მიხაელ ბალაკის (№13) ერთი თავური ეყო

# ექსკლუზიური გერმანია — ჭმუნვა ფინალისთვის

## ფიოლერმა დგუშები ნახევრად შეზეთა

რაც არ უნდა ვაქოთ რუდი ფიოლერი, გერმანელების კლასი მაინც სხვაა და ეს იმ შემთხვევაშიც, რომ თანამედროვე ფეხბურთში საერთო დონე ძალიან გათანაბრდა.

მაგრამ გერმანიას მხოლოდ კლასის ხარჯზე არ მოუგია. ევროპელებმა გეგმაზომიერად, რისკიანად და სწორად ითამაშეს.

ნურც იმას დავმალავთ, რომ ჰიუ დალასს იქნებ 11-მეტრიანის დანიშვნა მართებდა გერმანელთა კარში, მიუხედავად იმისა, რომ ტორსტენ ფრინგს განზრახ არ უთამაშია ხელით.

მაგრამ მსაჯების თემას მაინც უნდა შევეშვათ. ამერიკელებმა გოლი იმის გამოც ხომ ვერ გაიტანეს, მეტოქის კარს ოლივერ კანი რომ იცავდა.

ფიოლერის თანაშემწე მიხელ სკიბემ მატჩამდე თქვა, მთელი შეხვედრის მაღალ ტემპში ჩატარება ჩვენ ძალებს აღემატებაო და ასეც მოხდა — გერმანელებმა არითმიულად ითამაშეს, განსაკუთრებით პირველი ტაიმი.

მატჩის დებიუტი კი ბრიუს არენას გუნდის იყო. ჯერ ედი ლუისს მიეცა კარგი შანსი, მაგრამ ძალიან არაზუსტად დაარტყა. მერე ოლივერ კანმა იყოჩაღა და მისი კარის სიახლოვეს სახიფათოდ ჩაწოდებული ბურთი მოიგერია. ცოტაც და ლანდონ დონოვანმა განახორციელა სწრაფი, მოხდენილი სოლო რეიდი და საკმაოდ კარგადაც დაარტყა — კანი ფანტასტიკურად გაისარჯა და ურთულესი ბურთი კუთხურზე მოიგერია.

ამის მერე თომას ლინკე შეცდა პოზიციურად, მაგრამ გერმანელთა მეკარემ დონოვანს ერთხელაც, პირისპირ შეყრილს აჯობა.

გერმანია მთელი ამ დროის განმავლობაში არ თვლემდა, ფლანგებიდან სახიფათოდ უტევდა, მაგრამ დიდად საინტერესოს ვერაფერს გვთავაზობდა. ფლანგურ ჯარიმებს მარჯვენა ფრთიდან ბერნად შნაიდერი აწოდებდა, მაგრამ ტრადიცია ერთ ეპიზოდში კრისტიან ციგემ დაარღვია, რომელმაც სხვანაირად, ცაციათი დაატრიალა ბურთი და მიხაელ ბალაკმაც ახლოდან გადაგზავნა ის ბრედ ფრიდელის კარში.

ამას გერმანელთა მძაფრი ქარტეხილი მოჰყვა. ფიოლერის მანქანამ დგუშთა მოძრაობის სიხშირეს უმატა და ამერიკული დაცვაც რამდენჯერმე დაზერიტა. საუკეთესო შანსი მიროსლავ კლოზეს ჰქონდა, მაგრამ ოლივერ ნოივილის ბრწყინვალე ჩაწოდებულზე ოდნავ ძელსგარტყმულ თავურს გამორჩა.

სად არის თქვენი სიზუსტე ჰერ კლოზე? ძველებურად რად ვერ ჩუბინობთ? რატომ გაიყინეთ ხუთ გოლზე? გაწყინათ ქებამ და დიდმა ყურადღებამ?

მიროსლავი ახლა, ალბათ, ვერაფერს იტყვის, მაგრამ პასუხი 26 ივნისისთვის აუცილებლად უნდა ჰქონდეს მზად — ორი უგოლო მატჩის შემდეგ კლოზეს ესპანური ან კორეული ჯებირი ექნება დასანგრევი.

ამერიკელებმა მეორე ტაიმიც შმაგად დაიწყეს, ფიოლერის ბიჭებმა კი აშკარად უკან დაიხიეს. სწორედ ამას მოჰყვა კუთხური გერმანელთა კართან, როცა გრეგ ბერჰალტერის დარტყმულს კანი გადაელობა, მაგრამ უხეიროდ მოგერიებული ბურთი ატუზულ ფრინგსს მოხვდა ხელზე და კარში ვერ შევიდა.

იანკები შეტევებს აგრძელებდნენ. სუმბურულ იერიშების გარდა ერთი-ორი გააზრებული შეტევაც გამოუვიდათ, მაგრამ დონოვანსა და ტონი სანეს დამაგვირგვინებელი დარტყმები გაუცუდდათ.

ფიოლერის შეგირდთა კონტრჩხვლეტები ძალიან სახიფათო იყო — ფუტკარივით მშრომელმა ნოივილმა და შეცვლაზე შესულმა ბოდემ მიზანი ვერ გაისწორეს, ხოლო ოლივერ ბირჰოფმა ერთობ ხელსაყრელ პოზიციაში ძალიან უსუსურად ითამაშა. და საერთოდ, არ უნდა იყოს მოჩვენებითი ის, რომ პენსიონერი ბირჰოფის გამოჩენა ძალიან ცუდ ასოციაციებს იწვევს გერმანელ ქომაგებში — ბირჰოფი მუნდიალებზე ხელმოცარულ ბერტი ფოგსთან და უბადრუკ ერიხ რიბეკთან ასოცირდება.

სხვა რაღა ვთქვათ?! სებასტიან კელი ისევე შთამბეჭდავად ვერ გამოიყურებოდა, როგორც წინა მატჩში პარაგვაისთან, ხოლო იენს იერემისი ჩინებულად ჩაერთო თამაშში. ამერიკელთა ბოლო მწვავე შეტევისას სწორედ იერემისი გადაეფარა კლინტ მეტისის დარტყმულს.

სენსაციური ჩემპიონატების სენსაციები გერმანიას არ შეეხო — მან ყველა ის მეტოქე ჩამოიცილა გზიდან, ვისზეც სახელითა და ტიტულებით მაღლა დგას. მაგრამ ფავორიტად არავისგან შერაცხული გერმანია რომ ნახევარფინალში გავიდა, ესეც ხომ სენსაციაა.

გერმანიამ კორეა-იაპონია 2002-ს კიდევ ერთი, ექსკლუზიური ღირსება შემატა — პარადოქსი.

ვითომ არის საჩემპიონო გუნდი გერმანია? ფიოლერს იქნებ რაიმე რესურსები აქვს შემონახული და, ალბათ, დაუხარჯავი რეზერვი გერმანიას ხუთივე ჩატარებული შეხვედრაში ეტყობოდა, მაგრამ საქმე ამაში არ უნდა იყოს — ოლივერ კანმა თავისი გრძნეულობანი მხოლოდ გუშინდელიდან დაიწყო...

### სტენოგრამა

**მე-17 წუთი:** ლანდონ დონოვანმა მცველთა შეცდომით ისარგებლა და კარში დაარტყა. ოლივერ კანმა იმარჯვა.

**30-ე წუთი:** ლანდონ დონოვანი კლაუდიო რეინამ გაიყვანა ხელსაყრელ პოზიციაში — ოლივერ კანი ამჯერადაც გაუმკლავდა დარტყმულს.

**36-ე წუთი:** ბრაიან მაკბრაიდის ჩაწოდებულს ედი ლუისმა დაჰკრა — უშედეგოდ.

**39-ე წუთი:** კრისტიან ციგეს საჯარიმოს მიხაელ ბალაკის საგოლე თავური მოჰყვა.

**43-ე წუთი:** ოლივერ ნოივილმა მიროსლავ კლოზეს თავზე დაასვა ბურთი — ამერიკელები ძელმა იხსნა.

**49-ე წუთი:** კლაუდიო რეინას კუთხურს გრეგ ბერჰალტერმა სახიფათო დარტყმა მიაყოლა. ოლივერ კანმა კი მოიგერია, თუმც ბურთი კარის ხაზზე მდგომ ტორსტენ ფრინგსს ხელზე მოხვდა... გერმანელები გადარჩნენ.

**55-ე წუთი:** ლანდონ დონოვანს ოლივერ კანმა აუღო.

**87-ე წუთი:** ოლივერ ბირჰოფმა ხელსაყრელი მომენტი გაანიავა.

**90-ე წუთი:** ტონი სანეს სახიფათო დარტყმამ მიზანს ვერ უწია.

### მატჩის შემდეგ

**ბრიუს არენა**
*აშშ-ს ნაკრების მწვრთნელი*

ვამაყობ ჩვენი გუნდით. რომ წავაგეთ, ფეხბურთელების ბრალი არაა, იღბალმა ოდნავ გვიმტყუნა. ოლივერ კანმა ბევრჯერ აგვილო საგოლე დარტყმები, რამაც გადაწყვიტა კიდეც მატჩის ბედი.

გერმანია დიდი გუნდია. ფეხბურთელები ძალიან ძლიერები არიან და განსაკუთრებით საშიშნი საჯარიმოების დროს. მათ თავიანთი კლასი იმით დაამტკიცეს, რომ ორი საგოლე მომენტიდან ერთი გამოიყენეს. ჩვენ კი ბევრი გავაცუდეთ.

მარცხის მიუხედავად, ჩემპიონატით უკმაყოფილო არ ვარ. მეოთხედფინალში გავედით და ცოტაც რომ გაგვმართლებოდა, ნახევარფინალშიც ვითამაშებდით. ვაჩვენეთ მსოფლიოს, რომ თამაში შეგვიძლია და ეს ჯერ კიდევ დასაწყისია. ამერიკული ფეხბურთი კვლავაც განვითარდება.

**რუდი ფიოლერი**
*გერმანიის ნაკრების მწვრთნელი*

ნახევარფინალში გასვლა კი მახარებს, მაგრამ მთლად კმაყოფილი არ ვარ. მატჩი ცუდად დავიწყეთ და რომ არა კანის კარგი თამაში, ყველაფერი სხვაგვარად წარიმართებოდა. დებიუტი როგორიც მინდოდა, ისეთი ვერ გამოდგა, მაგრამ მადლობა ღმერთს, რომ ამერიკელებმა ინიციატივით ვერ ისარგებლეს.

გააზრებულ კომბინაციებს ტაიმის მიწურულს ვუხშირეთ და შედეგიც უმალ მივიღეთ, ბალაკის გოლს უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა. არავინ ფიქრობდა, რომ ამდენს მივაღწევდით. ის კი არა, ბევრი ჯგუფში ჩარჩენასაც გვიწინასწარმეტყველებდა, მაგრამ დავამტკიცეთ ჩვენი სიძლიერე, რასაც ნახევარფინალშიც ვეცდებით.



ოლივერ კანი გერმანელთა ნაღდი კაპიტანი და ლიდერი იყო

**კორეა-იაპონია 2002**
**ანონსი. მეოთხედფინალი. №59**

## ესპანეთი — ს. კორეა

ქალაქ. გვანჯუ (კორეა). „გვანჯუ ვორლდ ქაფ სთედიუმ". 11.30

**სავარაუდო შემადგენლობები**

| ესპანეთი | ს. კორეა |
|---|---|
| კასილიასი, პუიოლი, იერო, ელგერა, ხუანფრანი, ლუის ენრიკე, ბარახა, მენდიეტა, დე პედრო, ვალერონი, მორიენტესი | ვ. ლი, ჩ. სონგი, ჯ. ჩოი, მ. ჰონგი, ტ. კიმი, პარკი, იოო, ნ. კიმი, ი. ლი, ანი, სეოლი |
| მწვრთნელი: ხოსე ანტონიო კამაჩო | მწვრთნელი: გუს ჰიდინკი |

**მსაჯი: ჯამალ ღანდური (ეგვიპტე)**

**ურთიერთშეხვედრები**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 1990 | მჩ | ესპანეთი 3:1 ს. კორეა | 1994 | მჩ | ესპანეთი 2:2 ს. კორეა |

შენიშვნა: მჩ — მსოფლიოს ჩემპიონატი

# სასაცილო არაფერია
## ჰიდინკამ კამაჩოს მატყუარა უწოდა



გუს ჰიდინკი თავის ბიჭებს არავის დაიზოგვრინებს

**სამხრეთ კორეის** ფინანსთა მინისტრი მთავრობის სხდომაზე წამოდგა და თქვა, ყველას ვურჩევ, გუს ჰიდინკისგან ისწავლოს მუშაობაო. მინისტრმა იქვე განმარტა, მწვრთნელებზე არ მოგახსენებთ, კომპანიათა მმართველებზე და სახელმწიფო მოხელეებზე ვამბობ, ფეხბურთის გუნდიც ჩვეულებრივი ორგანიზაციაა და ჰიდინკის მენეჯმენტის სტილი ყველა სფეროში მისაღებიაო. ხოლო კორეის ინდუსტრიის ფედერაციამ განიზრახა, ჰიდინკი მეწარმეთათვის ლექციების წასაკითხად მიიწვიოს. აღნიშნული ფედერაცია სამხრეთ კორეაში ბიზნესის უმსხვილესი ლობისტი ყოფილა.

თუმცა რამდენად გაიზიარებენ კორეელი ბიზნესმენები გუს ჰიდინკის გამოცდილებას, ჩვენ ნაკლებად გვაინტერესებს. ჩვენი ინტერესის საგანია: კვლავაც გაამართლებს თუ არა ჰოლანდიელი სპეციალისტის ტაქტიკური ხრიკები; რამდენად გამოიყენებს ესპანური ფეხბურთის ბრწყინვალედ ცოდნას; როგორ ხასიათზეა იუნგ-ჰვან ანი პერუჯული ამბების შემდეგ; მომჯობინდება თუ არა საამატჩოდ რაული; გამოასწორებენ თუ არა ფერნანდო იერო და ხუანფრანი ირლანდიასთან დაშვებულ შეცდომებს და, ბოლოს და ბოლოს, ვინ გავა ნახევარფინალში.

ანონსში ბოლო კითხვაზე პასუხს ძებნას ნუ დაუწყებთ — ის ჩვენ არ გვაქვს. სამაგიეროდ, გვაქვს პელეს პროგნოზი. ფეხბურთის მეფე ამბობს: „ვფიქრობ, კორეელებს კვლავაც შეუძლიათ სიურპრიზის შეთავაზება. საერთოდ, მასპინძელი გუნდი ქომაგთაგან უდიდესი ზეწოლის ქვეშაა, რამაც შესაძლოა, მორალურად გატეხოს, ოღონდ კორეის გუნდს ეს არ ეხება. მათთან პირიქითაა — ისინი ყოველ მომდევნო მატჩში თამაშის ხარისხს აუმჯობესებენ. მგონია, რომ გუს ჰიდინკის გუნდის დასამარცხებლად ტიტანური ძალაა საჭირო." მოკლედ, პელე ფსონს კორეაზე ჩადის, მაგრამ ისიც გაითვალისწინეთ, რომ მისი პროგნოზი უმეტეს შემთხვევებში მცდარი გამოდგება ხოლმე.

თავად გუს ჰიდინკი კი, ვისაც ქება არ დაჰკლებია, ამბობს: „მეოთხედფინალში ესპანეთთან გადაყრამ უდიდესი სიამოვნება მომანიჭა, რადგან კამაჩოსაც და ფეხბურთელებსაც კარგად ვიცნობ. ვფიქრობ, ესპანეთი ჩემპიონობის უმთავრესი ფავორიტია, მით უფრო ახლა, როცა თითქმის ყველა ზესაფეხბურთო ქვეყანა ბრძოლას გამოეთიშა, თუმცა ჩემს სიტყვებს ისე ნუ გაიგებთ, თითქოს დასამარცხებლად განწირულები ვიყოთ და თავს ვიხლევდე. ჩვენ მოსაგებად ვიბრძოლებთ, უბრალოდ, ფაქტი აღვნიშნე, რომ ესპანელი ფეხბურთელები ჩვენზე უკეთეს გუნდებში თამაშობენ, გამოცდილებაც მეტი აქვთ და დასასვენებლად ორი დღით მეტიც ჰქონდათ. ჩემს ფეხბურთელებზე კი გეტყვით, რომ აქამდე მათი სახელები არავის გაგონილიც არ ჰქონდა, ახლა კი მოწიწებით მოიხსენიებენ."

და საიდან იცნობს გუს ჰიდინკი ასე კარგად ესპანურ ფეხბურთს? თავის დროზე ის „ვალენსიას", „ბეტისს" და მადრიდის „რეალს" წვრთნიდა.

ჰიდინკს „ვალენსიადან" იცნობს გაისკა მენდიეტა, რომელიც თანაგუნდელებს აფრთხილებს: „სისულელეა იმაზე ფიქრი, რომ მეტოქე გამარჯვებას გვაჩუქებს. ძალიან ცდება ის, ვინც ფიქრობს, რომ მეოთხედფინალში გასვლით კორეელებმა ამბიცია დაიკმაყოფილეს და ნაკლები თავგანწირვით გვეთამაშებიან. ჩემპიონატის დაწყებამდე ჩემთვის ვინმეს რომ ეთქვა, მეოთხედფინალში კორეას გადაეყრებითო, სასაცილოდ არ მეყოფოდა, მაგრამ მუნდიალზე ამ გუნდის ორი თამაში ვნახე და დავრწმუნდი, რომ საქმე სასაცილოდ არ გვაქვს. შესაძლოა, კორეული ფეხბურთი ნაკლებად სახელიანია, მაგრამ მატჩის დროს სახელები აღარავის ახსოვს. სახელიანი და ტიტულებიანი საფრანგეთი, არგენტინა და ინგლისი შინ გაემგზავრნენ და არა იმიტომ, რომ მათი კლასი დაეცა — სხვებისამ მოიმატა. ამდენი თანაბარი ძალის გუნდი აქამდე არც ერთ მსოფლიოს ჩემპიონატზე არ ყოფილა."

ღმერთი სამობითააო და ესპანეთმა სამი მეოთხედფინალი უკვე წააგო. ამ ლოგიკით კამაჩოს გუნდს ახლა გამარჯვება მართებს. იმ სამი წაგებული მეოთხედფინალიდან კი ორჯერ, 1934 და 94 წლებში, ესპანეთი იტალიამ გააგდო, ერთხელაც, 1986 წელს, ბელგიამ დაამარცხა. ისე, თუ გავიხსენებთ, რომ იტალია ბოლო წამს ასცდა მეოთხედფინალს, შეიძლება ითქვას, ესპანელებს გაუმართლათ კიდეც.

„კორეასთან თამაში გარკვეული თვალსაზრისით ადვილია — თქვა ხოსე ანტონიო კამაჩომ — მისი ტაქტიკა მარტივია და აქედან გამომდინარე, რაღაც განსაკუთრებულის მოფიქრება არ გვჭირდება. უბრალოდ უნდა ვეცადოთ, რომ ბურთი მეტოქეს არ დავუთმოთ, ხოლო როგორ მოვახერხებთ ამას, ცალკე საკითხია."

შევნიშნოთ, რომ მეტოქისთვის ბურთის არდათმობა ჯერ კიდევ არ ნიშნავს გამარჯვებას. ამისთვის გოლის გატანაა საჭირო. და ვინ უნდა გაიტანოს გოლი? აქ უპირველესად რაული გვახსენდება, რომელიც სავარაუდო სასტარტო შემადგენლობაში მოხსენიებული არ არის და რომლის ყოფნაარყოფნის საკითხი, ალბათ, ბოლო წუთამდე გაურკვეველი იქნება.

ესპანეთის ნაკრების ექიმმა, ხენარო ბორასმა, რომლის ხსენებაც ბოლო დღეებში ხშირად გვიხდება, თქვა: „ხშირია შემთხვევები, როცა უმნიშვნელოვანეს მატჩში მწვრთნელები ბოლომდე გამოუჯანმრთელებელ ვარსკვლავებს ათამაშებენ. ერთი მხრივ ეს გასაგებია, მწვრთნელს იმედი აქვს, რომ ვარსკვლავი ერთხელ მაინც შეძლებს ისეთი რამის გაკეთებას, რაც თამაშს მოაგებინებს. მაგრამ მე ამას ექიმის თვალით ვუყურებ და გაუმართლებელ რისკად მიმაჩნია. ვფიქრობ, კამაჩოც და თავად რაულიც ჩემს რჩევას გაითვალისწინებენ."

კამაჩომ ბორასის რჩევა გაითვალისწინა: „თუ რაული მეტყვის, რომ ასი პროცენტით მზადაა და ბორასიც დამადასტურებს, მაშინ ვათამაშებ, წინააღმდეგ შემთხვევაში ის სათადარიგოთა სკამზე იჯდება. ისიც გასათვალისწინებელია, რომ ჩვენ ნახევარფინალის და ფინალის თამაშსაც ვაპირებთ, სადაც ურაულოდ ძალიან გაგვიჭირდება. ამიტომ სჯობს, ახლა მის გარეშე შევძლოთ მოგება, ნახევარფინალისთვის კი ის ნამდვილად გამოჯანმრთელებული იქნება. თუმც ვიმეორებ, გამორიცხული არ არის, რაულმა კორეასთანაც შეძლოს მოედანზე გასვლა."

„შესაძლოა, ასეც იყოს, მაგრამ არც ის გამიკვირდება, ესპანელები განგებ ყვიროდნენ ამდენს რაულის ტრავმაზე. ეს ცნობილი ტაქტიკაა, მეტოქეს ამშვიდებენ, რა გვეშველება, საუკეთესო ფეხბურთელი დაგვემტვრაო, ხოლო მატჩის წინ უცებ აღმოჩნდება, რომ ფეხბურთელს არაფერი სჭირს. ჩვენ ამისთვის მზად ვართ" — შეუთვალა ჰიდინკმა ესპანელებს.

აქვე ერთი საინტერესო ამბავიც, რომელიც უშუალოდ ამ მატჩს არ ეხება. ჰოლანდიურ პრესაში ორიოდ დღის წინ გაჩნდა ცნობა, რომ ჰიდინკს „პსვ ეინდჰოვენი" იწვევს, გუშინ კი იმავე წყარომ გადაჭრით თქვა, მსოფლიოს ჩემპიონატის დასრულებისთანავე კლუბი მწვრთნელს ორწლიან კონტრაქტს გაუფორმებს, მოლაპარაკება უკვე შედგაო. ჰიდინკს ამის თაობაზე კომენტარი ჯერ არ გაუკეთებია, პსვ-ს თავმჯდომარემ კი თქვა, საკითხის საბოლოოდ გადაწყვეტად მუნდიალის დასრულებას ველოდებითო. შეგახსენებთ, რომ ჰიდინკი „პსვ ეინდჰოვენში" ადრეც მუშაობდა და 1988 წელს კლუბს ჩემპიონთა თასი მოაგებინა.

რაულის ტრავმაზე მოგახსენეთ და დაშავებულ კორეელებზეც ვიქვათ. იტალიასთან მატჩისას მცველმა ჩაეიუნგ კიმმა ადრე გატეხილი ცხვირი იტკინა, ხოლო ნახევარმცველმა ნამ-ილ კიმმა კოჭი დაიშავა. ორივენი სავარაუდო სასტარტო შემადგენლობაში კი არიან, მაგრამ თუ დროულად ვერ მომჯობინდნენ, მოედანზეც ვერ გავლენ.

თავში იუნგ-ჰვან ანის პერუჯული ინციდენტი ვახსენეთ, რაზეც აქამდეც გვეწერა. შეგახსენებთ, რომ „პერუჯას" პრეზიდენტმა ლუჩანო გაუჩიმ ანის ტრანსფერზე დაყენება გადაწყვიტა, არც კლუბში და არც მუნდიალის წინა მატჩებში არაფერი უკეთებია და რაღა იტალიასთან მოუნდა „ოქროს გოლის" გატანა, უმადური ყოფილა, ფეხბურთელად იტალიაში ჩამოყალიბდა და სამაგიერო დახეთ, რითი გადაგვიხადაო. პრეზიდენტს გუნდის მწვრთნელმა სერსე კოზმიმაც კვერი დაუკრა, ანს ჩემოდნის ჩალაგება მოუწევსო.

გუშინ კი კოზმი გონს მოეგო და კორეელ ფეხბურთელს ბოდიში მოუხადა, რაც ვთქვი, წამიერი აღელვების ბრალი იყო და იმედი მაქვს, წყენას გულში არ ჩაიდებსო. ისე, ამ კორეელ ფეხბურთელებს რომ ვუყურებ, მგონი, გული საერთოდ არ აქვთ, რობოტებს უფრო ჰგვანან.

ბოლოს კი აღვნიშნოთ, რომ ამ გუნდების ბოლო შეხვედრა რვა წლის წინ, ამერიკის მსოფლიოს ჩემპიონატზე გაიმართა და დროისთვის სენსაციური შედეგით დასრულდა. ესპანეთი 2:0 იგებდა და ბოლო ხუთ წუთში ორი საპასუხო გაუშვა. ესპანეთის ნაკრებში იმ მატჩის მონაწილენი ახლაც არიან — ფერნანდო იერო, ლუის ენრიკე და მიგელ ანხელ ნადალი.

**გიორგი დარჯანია**



ვარჯიშში ესპანურად ბურთი თუ არ გადის კარში, კარს მიიტანთ ბურთთან



რაულის ბუცები ჯერაც ჰაერშია

კორეა-იაპონია 2002
ანონსი. მეოთხედფინალი. №60

**სენეგალი — თურქეთი**

დღეს. ოსაკა (იაპონია). „ოსაკა ნაგაი სთადიუმ“. 16.30

**სავარაუდო შემადგენლობები**

| სენეგალი | თურქეთი |
|---|---|
| სილვა, დაფი, პ. მ. დიოპი, სისე, კოლი, ფადიგა, დიაო, პ. ბ. დიოპი, მუსა ნდიაიე, დიუფი, ა. კამარა | რუშთუ, ფათიჰი, ბიულენთი, ალფაი, უნსალი, უმითი, თუგაი, ბაშთურქი, ემრე, ჰასან შაში, შუქური |
| მწვრთნელი: ბრუნო მეტიუ | მწვრთნელი: შენოლ გიუნეში |

**მსაჯი: ოსკარ რუისი (კოლუმბია)**

# აქ ვიღაცა დაისჯება!

## ბრუნოს წინ მორბენალი კვიცები მგელმა უკვე შეჭამა





ბრუნო მეტიუ და მისი თანაშემწე ჟულიუს ბოკანდე უხასიათობას არ უჩივიან, შენოლ გიუნეში კი თურქებს სიფრთხილისკენ მოუწოდებს

**თურქეთში** დიდი რია-რია ატყდა. ყველას აინტერესებს, სად არის და რას წარმოადგენს სენეგალი. ამ აფრიკულმა ქვეყანამ კოხტა ფეხბურთით მსოფლიო გააოცა. თურქებს სურთ, რომ მეტოქის შესახებ, რაც შეიძლება ბევრი შეიტყონ.

სტამბოლში, სენეგალის საკონსულოში, სატელეფონო ზარებზე პასუხის გაცემას ვერ აუდიან. კონსული ნიჰათ ბოითუზუნი ამბობს: „ერთ დღეში 500-ზე მეტმა ადამიანმა დარეკა. ისინი მხოლოდ ფეხბურთზე კი არა, ქვეყანაზე, იქ მცხოვრებ მუსულმანებზე და შესაძლო ურთიერთობებზე მეკითხებიან. ბიზნესმენები კონტაქტების დამყარებაზე ფიქრობენ. ზოგს კლიმატი და სენეგალური კერძები აინტერესებს, ზოგსაც უძრავ-მოძრავი ქონება.“

გაზეთი „ზამანი“ (დრო) წერს: „დაკარი პატარა სტამბოლია, სადაც ყოველწლიურად 13 მილიონი დოლარის ღირებულების თურქული საქონელი მიედინება. ეს ოფიციალური მონაცემებით, არალეგალურად კი საქონელბრუნვა 500 მილიონ დოლარს აჭარბებს.“

დღევანდელი მატჩი ორივე გუნდისთვის უმნიშვნელოვანესია. სენეგალი პირველად მონაწილეობს მსოფლიოს ჩემპიონატზე და შანსი აქვს, ნახევარფინალშიც ითამაშოს.

თურქეთი 48 წლის შემდეგ დაუბრუნდა მთავარ საფეხბურთო ფორუმს. თუ ოსმალოები ნახევარფინალში გავლენ, თანაგუნდელ ბრაზილიელებს შეეჯახებიან და პირველ ტურში დაწყებული ინტრიგა გაგრძელდება.

ოსაკაში ჩასულმა თურქებმა სავარჯიშო მოედანი დაიწუნეს. ნაკრების მენეჯერი ჯან ჩობანოღლუ დატრიალდა და გუნდი სხვა მოედანზე გადაიყვანა.

თურქეთის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ჰალუკ ულუსოი მატჩის გარშემო ტრიალებს: „არავის ეგონა, თუ აქამდე მოვაღწევდით. ბიჭებმა თამაშ-თამაშ მოუმატეს და უკეთეს ხასიათზეც არიან. სენეგალის სისუსტეზე ლაპარაკი სისულელეა, მაგრამ ჩვენ ტიტულიან გუნდებთან უფრო მონდომებით ვთამაშობთ. მჯერა, მეტოქეს დავამარცხებთ და ნახევარფინალში გავალთ. ფეხბურთელებმა მსოფლიოს თურქეთი უკვე გააცნეს, თან ეს უმოკლეს დროში მოახერხეს. მთელი ჩემი ძალღონე შევალიე ამ საქმეს და დამიფასდა კიდეც.“

შენოლ გიუნეშს გუნდთან ერთად მეტოქის თამაში დაუზეპირებია. აი, რა აღმოაჩინა მან: „მათი შეხვედრები ვნახე. დაკვირვებული თვალი ადვილად შეამჩნევს, რომ საჰაერო ორთაბრძოლებისას იდაყვებს აშკარად უხეშად იქნევენ. ასე იყო ყველა მატჩში, მსაჯები კი ვერაფერს ამჩნევენ. ჩემს ფეხბურთელებს ყოველთვის ვაფრთხილებდი, რომ მსგავსი საქციელისთვის შეიძლება წითელი ბარათი დაიმსახურონ, ამიტომაც მიკვირს მსაჯთა უყურადღებობა. სენეგალი ძლიერი გუნდური სულით გამოირჩევა. თამაშობენ აგრესიულად და ხისტად. მათ ძალიან ცოტა წუნი აქვთ, თუმცა არც ჩვენ ვართ ხელწამოსაკრავნი. ფრთხილად უნდა ვიყოთ და შევეცადოთ, შეცდომები არ დავუშვათ, რადგან ნებისმიერი შეცდომა ძვირად დაგვიჯდება.“

დავალა უმითს მეტოქეზე თავისი აზრი აქვს: „სენეგალელები ძალიან სწრაფები არიან. მათი და შვედეთის მატჩის ვიდეოჩანაწერს ვუყურე. უმაღლესი კლასის ფეხბურთელები არიან. რთული შეხვედრა გველის და ვეცდებით, საჩვენოდ შემოვაბრუნოთ.“

თუგაი ქერიმოღლუ: „ჯერ სენეგალის სტილის გუნდს არსად შევხვედრივართ. ამიტომ მაქსიმალურად კარგად უნდა შევასრულოთ ის, რაც ვიცით, რათა ნახევარფინალში გავიდეთ“

იმ საყოველთაო ზარ-ზეიმში, რომელიც თურქეთში სუფევს, ერთი ტრაგიკული ამბავიც გამოერია.

თვითონაც ხედავთ, ფეხბურთელთა ვარცხნილობა ათასნაირად რომ იცვლება. დავალა უმითის პანკური ვარცხნილობაც ნანახი გაქვთ. ზუსტად ისე გაუკრეჭია თმა 13 წლის ბიჭს, რითაც მამა განურისხებია. მამას დალაქთან გაუგზავნია, შეისწორეო. ბიჭმა თხოვნა შეუსრულა, მერე კი თავი ჩამოიხრჩო. უნდა შევნიშნოთ, რომ საერთოდ ფეხბურთთან დაკავშირებული არა ერთი ტრაგიკული ამბავი მომხდარა თურქეთში. ერთხელ კაცმა ცოლიც კი გადააგდო მესამე სართულიდან. საბედნიეროდ, ქალი გადარჩა.

დღევანდელ მატჩს დავუბრუნდეთ და ბრუნო მეტიუს ნააზრევს გავეცნოთ: „თურქეთის ნაკრების თამაში დეტალურად შევისწავლე. საკმაოდ სოლიდური გუნდია. შენოლ გიუნეშის კომენტარებიდან გამომდინარე, ძალიან თავდაჯერებულნიც ჩანან. ჩვენს შესახებ კი არა, უკვე ნახევარფინალზე და მომავალ მეტოქეზე ლაპარაკობს. თითქოს სერიოზულად არც აღგვიქვამენ, ამ დროს კი მთელი მსოფლიო სენეგალზე ლაპარაკობს. ისინი ამისთვის დაისჯებიან. ჩემმა ბიჭებმა დაამტკიცეს, რომ ჩემპიონატზე შემთხვევით არ მოხვედრილან და დარწმუნებული ვარ, მეტის დამტკიცებაც შეგვიძლია. მეოთხედფინალი მორიგი გამოწვევაა. გვსურს, უკეთეს შედეგს მივაღწიოთ, ვიდრე რომელიმე აფრიკულ ნაკრებს ოდესმე მიუღწევია.“

ლაპარაკის სალერღელი აშლია 25 წლის სალიფ დიაოს, რომელმაც „ლივერპულთან“ ხუთწლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი: „ფეხბურთი ისეთი რამაა, ყოველ კვირას შენი სიძლიერე თუ არ დაამტკიცე, ხალხი მალევე დაგივიწყებს. თუნდაც რონალდო გავიხსენოთ, იგი საუკეთესო იყო მსოფლიოში, მაგრამ როცა დაშავდა და აღარავის ახსოვდა. ამიტომ ჩვენთვის ყოველი მატჩი ახალი შანსია შესაძლებლობების დასამტკიცებლად. სულაც არ გვინდა, რომ თურქებთან შეხვედრის შემდეგ ჩამოვსხდეთ და მოვთქვამდეთ, ეჰ, ნახევარფინალში გასვლა ხომ შეგვეძლო... მხოლოდ სენეგალისთვის კი არა, სრულიად აფრიკისთვის ვთამაშობთ. ათი წლის წინ უმრავლესობას აფრიკული ფეხბურთი უბრალოდ, გართობა ეგონა, ახლა გამოჩნდა, რომ დისციპლინა ჩვენთანაც არსებობს. ხალხი კარგად არ გვიცნობს, რადგან სენეგალელები უმთავრესად ფრანგულ კლუბებში ვთამაშობთ, საფრანგეთის ლიგა კი ევროპაში წამყვანი არაა. ნახევარფინალის წინ სულაც არ ვღელავთ, ყველანი მშვიდად ვართ და კიდევ ერთხელ ვუჩვენებთ მსოფლიოს, რა შეგვიძლია.“

ასე ჭიკჭიკებს დიაო, ხოლო ელჰაჯი დიუფი ოჯახურ იდილიას გაუხარებია: „ჩვენი ოჯახის წევრები აქ არიან და ერთად ყოფნა ყველასთვის დიდი სტიმულია. კარგია, როცა ისინი ტრიბუნიდან გიყურებენ, შენ კი მათ სიამოვნებას ანიჭებ. ნაკრების წარმატება ხანგრძლივ და მუხლჩაუხრელ შრომაზეა დაფუძნებული. ყველას გვსურს, დიდხანს ვითამაშოთ ერთად და კიდევ მრავალ გამარჯვებას მივაღწიოთ.“

**მაკა ხუციშვილი**



შენოლ გიუნეშმა პაპე ტიაგუ იდაყვის ქნევაში იმხილა



დავალა უმითის ვარცხნილობამ ბიჭი იმსხვერპლა

# ათასში ერთხელ
## რაი ფიფას უჩივის



ბაირონ მორენომ და კორეელებმა ერთი და იგივე რამ დაინახეს

**იტალიის** სახელმწიფო ტელეკომპანია „რაი“ ფიფას წინააღმდეგ სარჩელის შეტანას აპირებს. მიზეზი მუნდიალზე მსაჯობის პრობლემაა, რომელიც ფიფამ ვერ მოაგვარა, ამისდაკვალად „სკუადრა ადურა“ მსოფლიოს ჩემპიონატს გამოეთიშა, ხოლო ტელეკომპანიამ ფინანსურად ფრიად იზარალა.

„რაის“ გერმანული კომპანია „კირხმედიისთვის“ 140 მილიონი დოლარი გადაუხდია და კონტრაქტის თანახმად, წლევანდელი მუნდიალის ყველა და 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის 25 თამაშის ჩვენების უფლება მიუღია. სანამ იტალიელები კორეა-იაპონიაში იყვნენ, „რაის“ გადაცემები 20 მილიონამდე ადამიანს უნახავს, მაგრამ გავარდნილა თუ არა, ინტერესი მაშინვე მკვეთრად შენელებულა. გავარდნას კი, მოგეხსენებათ, მთელი იტალია ეკვადორელ მსაჯ ბაირონ მორენოს აბრალებს. ტელემაგნატთა განრისხების საბაბიც ეს არის.

მსაჯობის პრობლემაზე „გაძეტა დელო სპორტს“ ფიფას პრეზიდენტი ზეპ ბლატერიც ესაუბრა. მისი თქმით, წლევანდელ ტურნირზე ერთადერთი ნეგატიური მოვლენა არბიტრების შეცდომებია, განსაკუთრებით თანამსაჯები სცოდავენ, ამიტომ სამომავლოდ მათი შერჩევის სისტემას შევცვლითო. შეგახსენებთ, რომ ამჟამად მსაჯებს ფიფას ექვსივე კონფედერაციიდან ირჩევენ, მაგრამ: „მსოფლიოს ჩემპიონატზე პლანეტის საუკეთესო ნაკრებები თამაშობენ და მსაჯებიც ასეთივენი უნდა იყვნენ. ამიტომ მომავალში მათ ეროვნებას ყურადღებას აღარ მივაქცევთ, მხოლოდ საუკეთესოებს მოვიწვევთ“ — განაცხადა ბლატერმა.

ბაირონ მორენოს გარშემო ლაპარაკი კი არ წყდება. გუშინ ფიფას მსაჯთა კომიტეტის წევრმა ედუარდო კოდესალმა თქვა, მორენო შეცდა, როცა მოედნიდან იტალიელთა ლიდერი ფრანჩესკო ტოტი გააძევაო: „რთული სიტუაცია იყო და მორენოს შეცდომაც გასაკვირი არ არის, ბოლოს და ბოლოს, ყველაფერს ხომ ვერ დაინახავდა, რაც მოედანზე ხდებოდა. მსაჯები პატიოსანი ხალხია და ცდილობენ, თავისი სამუშაო კარგად შეასრულონ, მაგრამ შეცდომისგან დაზღვეული არავინაა. ისინიც ადამიანები არიან და ისევე ცდებიან, როგორც ფეხბურთელები და მწვრთნელები, ამიტომ მათ მიმართ უფრო ჰუმანურები უნდა ვიყოთ — ამბობს კოდესალი — ერთმა შეცდომამ ტურნირი არ უნდა გააფუჭოს. ჩემპიონატის დაწყებიდან მსაჯებმა დაახლოებით ხუთი ათასჯერ ჩასტვინეს და მხოლოდ ოთხ-ხუთ შემთხვევაში შეცდნენ უხეშად. ჯამში ათას გადაწყვეტილებაზე ერთი შეცდომა მოდის, რაც ბევრი სულაც არ არის.“

თავის მხრივ, ბაირონ მორენოს დღესაც მიაჩნია, რომ იმ ყბადაღებულ ეპიზოდში ტოტის არავინ შეხებია: ტოტი თავისით წაიქცა. 15-20 მეტრში ვიდექი, ყველაფერი კარგად დავინახე და ახლაც ვამტკიცებ, მაშინ მართებული გადაწყვეტილება მივიღეო.

აი, ასეა საქმე.

**სოლომონ გულისაშვილი**

## სადღეისო ვითარება

**ბომბარდირები**

| | | |
|---|---|---|
| 5 | რონალდო | (ბრაზილია) |
| | რივალდო | (ბრაზილია) |
| | მიროსლავ კლოზე | (გერმანია) |
| 4 | ჯონ დალ ტომასონი | (დანია) |
| | კრისტიან ვიერი | (იტალია) |
| 3 | პაპე ბუბა დიოპი | (სენეგალი) |
| | რაული | (ესპანეთი) |
| | ფერნანდო მორიენტესი | (ესპანეთი) |
| | ჰენრიკ ლარსონი | (შვედეთი) |
| | მარკ ვილმოტსი | (ბელგია) |
| | რობი კინი | (ირლანდია) |
| | პედრო პაულეტა | (პორტუგალია) |

**ავტოგოლი**

| | | |
|---|---|---|
| 1 | ესტანისლაო სტრუგაი | (პარაგვაი) |
| | ჟორჟე კოშტა | (პორტუგალია) |
| | ჯეფ აგოსი | (აშშ) |
| | კარლეს პუიოლი | (ესპანეთი) |

**წითელი ბარათი**

1 — ბორის ჟივკოვიჩი (ხორვატია)
ალფაი ოზალანი (თურქეთი)
ჰაქან უნსალი (თურქეთი)
სალიფ დიაო (სენეგალი)
ტიერი ანრი (საფრანგეთი)
კარსტენ რამელო (გერმანია)
პატრიკ სუფო (კამერუნი)
კლაუდიო კანიჯა (არგენტინა)
კარლოს პარედესი (პარაგვაი)
ნასტია ჩეპი (სლოვენია)
შაო ჟიაი (ჩინეთი)
ჟოაუ პინტუ (პორტუგალია)
ბეტუ სევერუ (პორტუგალია)
რობერტო აკუნია (პარაგვაი)
რაფაელ მარკეში (მექსიკა)
ფრანჩესკო ტოტი (იტალია)
რონალდინიო (ბრაზილია)

# კოსმოპოლიტური მოთხრობა

## სპორები საპოროდან



ინგელბერტ პონტელაგა
საპოროდან იმენა
კოსმოპოლიტური ბიუროსთვის

ზდაროვათ ძმებოოოოოოოო! გოოოოლ! რივალდუუუუ! რონალდუუუუ! რონალდინიუ დუ ბრაზიიიიიილ! აი, ესე! რისი დამტკიცებაც გვინდოდა — რ.დ.გ! ვინმეს რამე პრეტენზია გაქვთ? მოდით, აბა, მესპორეთ! გოოოოოლ! პელეეეე! რიველინოოოო! გურამააააა! (ჩემი მეზობელია) რონალდუუუ!

...ახლა სერიოზულად. აქამდე პროსტომც, ბრაზილიელ კომენტატორებს ვაჯავრებდი, სერიოზულად კი, ძმაო, მსაჯობაზე სპორი მაქ დაგეგმილი. იმენა ყველა ბაზრობს, რო აქ, მსოფლიო მუნდიალზე, იმენა ცუდი მსაჯობაა და რამე. მე კი ვამბობ, არა, ტო, შენ ლეტნად ხო არა ხარ? მსაჯობა იმენა ჯიგარია. აბა, მითხარი, ტო, თუნდაც ერთი შემთხვევა სუდია რო სპრაველდივად არ მოიქცა და მერე ვიბაზროთ. რაა? იტალია?

ჰა, ჰა, ჰა! შენ ძმაო როგორ ბაზრობ, ტო? რა, იტალიას გოლები არ ჩაუთვალეს? არც იყო, ძმაო, ჩასათვლელი. კორეასთან ტომაზის გოლი არა ის! ჯერ, ჯიგარ, ტომაზი რა პონტია, გიტყდება თამაზა რო ხარ? ხარაშო, ეგ კიდე იქით იყოს, ეს ხუჭუჭა თმები რომ მოგიშვია, ნაშა ხარ? ვაფშე ეს იტალიელები სუ ნაშებივით როჟები არიან, მაგათი მოგება როგორ შეიძლებოდა? აი, იმენა ეგრეა!!!

აბა, რა მითხარი კიდე? ბელგიის გოლი ბრაზილიის კარში? ბიჭო, შენ ვაფშე გააფრინე? ბელგია ვინ არი, ტო, მაგას ბრაზილიასთან გოლი რო ჩაუთვალონ! ბელგია, იმენა, მადლობელი იყოს ბრაზილიასთან მოედანზე რო გადის! ბელგია სუ არ გამიგია რა არის და ვაფშე, არ გაახურეს, ტო ამ ძნელად გამოსათქმელი სიტყვებით საქმე?

რა? რონალდინიოს გაგდება ინგლისთან? ბიჭო, შენ გეტყობა ინგლისური მთლად კარგად არ იცი, თორე წაიკითხავდი, რო ინგლისი იმენა მსოფლიო ჩემპიონია ყველა ამბავში და გაგებაში. მაგას ინგლისელები წერენო? მერე, ტო, მსოფლიოში რო ასი გაზეთია, იქიდან ოთხმოცდათვრამეტი ინგლისურია და ოთხმოცდათვრამეტი კაცი ყოველდღე რო გეტყვის ჩაინიკი ხარო, ბოლი უნდა გამოუშვა. იმენა ეგრეა!!! გავარდა ის ინგლისი თუ გამოვარდა, მსოფლიოში ყველას ჯობია! აი, ეგრე!!! და თუ არ გჯერა, ნახავ, ყოველდღე ოთხმოცდათვრამეტჯერ რო გაიგებ ამას! რამდენი ხანი? ოთხი წელი, ტო, შემდეგ მეოთხედფინალამდე.

მერე, მაგის დედაც ვატირე, თურქებთან სიაფანდი პენალი დაუდეს იმ ბრაზილიას, ბელგიასთან გოლი არ ჩაუთვალეს და რონალდინიო აღარ გაეგდოთ? აბა, რა ბექემი გაეგდოთ? ბექემის გაგდება, ბიჭო, როგორ შეიძლება, შე გაუნათლებელო!

და ვაფშე, ნუ გამიხურე ამ იტალიით საქმე! დაერტყა იმ ვიერის კარში და გოლი იქნებოდა! ეგ მაკარონჩიკები, ეგენი! კაცი, რო მაკარონს და მანიქაშას შეჭამს, ის კაცია?

რა? სენეგალს შვეციასთან ცუდად უმსაჯეს? აუ, შენ რა იმათკენ ხარ? სენეგალი, ვაფშე ვინ არი, ტო? კაი, რა, ძმაო, შენ რა გაეროს დადგენილება გაქ წაკითხული, რო რასიზმი ტეხავს თუ რა არი?

აბა, კიდე, რა? აბა, მიდი, აბა?

კიდე იტალია?! შენ მელადავები? შენ, ვასია, მელადავები, მეთქი?! შენ, ბიჭო, მე მელადავები?! მოდი, ბიჭი ერთწუთს! მოდი, მოდი ნუ გეშინია! მოდი აქ შენი...!

...გამექცა! ნიჩივო, სადმე დავიჭერ, იაპონია პატარაა. ფუძიამა ნარაიამას ვერ შეხვდება, თორე ინგლისი ბრაზილიას, რამდენჯერაც გინდა.

ჰო? რას ვამბობდი? მე როგორც ქართველმა ტრენერმა რა შევნიშნე? ჰოო... აი, ეს შეკითხვა მბრიდავს, რა, რა უნდა შემენიშნა, მაგის დედაც ვატირე, ხია იმ რონალდინიომ სადღაც ბრაზილიიდან და გაიტანა. მე, რა? მე... მომეცი ჩემ ქართულ გუნდში რონალდინიო და ხევს. ბოლო-ბოლო ფუტბოლი ეგ არი, ფუტბალისტმა უნდა ხიოს აბა ტრენერი ხო ვერ დაარტყამს? ტრენერი იმისაა, რომ უთხრას დაარტყიო.

ჰო, მართლა, ტრენერზე და საქართველოზე გამახსენდა, პივა ხო არ დაგველია? აქ, საპოროში ერთი საკაიფო ადგილი ვიცი, ჩავჯდეთ და შევუბეროთ. ჰა? რას იტყვი?

კაი, აბა. მაშინ მე წავედი და შენ ჩემი ჯიგარი ქართველობა დამიკოცნე.

**კიდე მოგწერთ.**
**ჯერ ხო აქ ვარ**

მარად თქვენი
ავტორი:
ინგელბერტ პონტელავა
ხელმოწერა: +



შე ინძაგო! ქალს რო გავხარ, სუდიას როგორ ესპორები

## მსოფლიოს ჩემპიონატის დღიური 21 ივნისი

გია ახვლედიანი

# პაციფისტური მოძრაობა

ახლა ბრაზილიაში თანდათან მოუკ-ლებენ ლუიშ ფელიპე სკოლარის გი-ნებას, ინგლისში კი სვენ გორან ერი-კსონისას დაიწყებენ. თუმცა, შემოდ-გომისთვის ეს ყველაფერი გადაივლის და ახალი ციკლი დაიწყება.

მაგრამ მანამდე დარჩენილია ზუსტად ცხრა დღე და მთელი სიცოცხლე, ანუ მსოფლიოს თასის ოთხწლიანი მასპი-ნძლობისთვის ომი.

ფინალამდელ ფინალად გამოცხადე-ბული ინგლის — ბრაზილიის მატჩი გამოდგა დაძაბული, უცნაური, საცქე-რლად არცთუ მაინც და მაინც გადასა-რევი და ძალიანაც საინტერესო. თუ-მცა, საფინალო ამ მატჩს მაინც არა-ფერი უგავდა. ოთხი წლის წინათაც ნაადრევ ფინალს უწოდებდნენ ინგლის — არგენტინის შეხვედრას, მაგრამ ის მერვედფინალი იყო.

ახლა კი მეოთხედფინალში, ინგლი-სმა კვლავ არ უღალატა ამ ჩემპიონა-ტზე ჩამოქნილ ტრადიციას, მეტოქის შეცდომა გამოიყენა და ანგარიში გა-ხსნა. ეს გოლი ისე გავიდა ბრაზილი-ელთა კარში, რომ მათ ნახევარზე სა-მად-სამი კაცი იმყოფებოდა, მეკარე მა-რკოსი, ლუსიო და მაიკლ ოუენი. ლუ-სიომ ხიმანდრობა წამოიწყო და ოუე-ნმაც დასაჯა. ამით დამთავრდა ინგლი-სელთა მიერ ბრაზილიელთა კარისთვის მიყენებული ზიფათის სია. ახლა, შეი-ძლება, სვენ გორან ერიკსონმა ბევრი ილაპარაკოს ტენიანობაზე, მაგრამ, როცა ანგარიშის გათანაბრება დასჭირდა, ინ-გლისის ნაკრებმა ნაბიჯს ვერ მოუმა-ტა და ათი კაცით დარჩენილ ბრაზი-ლიელებს ვერაფერი დააკლო. შეცვ-ლებიც ულიმღამო გამოდგა და შეტე-ვის სურვილიც. ეს პირველად იყო ამ მსოფლიოს თასზე, რომ საკუთარ ნა-ხევარზე გროსმაისტერულად მოთამა-შე ინგლისელები ანგარიშში უკან იყვნენ. ისე იყო, თითქოს, მათ მთავარი არგენტინელთა დამარცხება ეგონათ.

ინგლისის ცქერა ძალიან საინტერესო იყო არგენტინელთა წინააღმდეგ და ალა-რაფრით იყო საინტერესო ბრაზილიე-ლებთან მატჩში.

ჩვეულად შეტევის არანაირი იარა-ღი შვედის ინგლისს არ აღმოაჩნდა.

შეხვედრის გმირი რონალდინიო იყო, რომლის კრიტიკაც მედიის მხრიდან ოდნავ თუ ჩაცხრა ბელგიელებთან მა-ტჩის შემდეგ. რონალდინიომ დიდებუ-ლად ჩაუშვა ბურთი სიმენის კარის ცხრიანში, სიმენი კი სულელურად და-უხვდა ამ ბურთს, დაახლოებით ისე, როგორც ოლესლაც, თასების თასის ფი-ნალში, სარაგოსელი ნაიმის დარტყ-მულს. შესვენებამდე კი, რონალდინი-ომ, ინგლისელთა დაცვა გაჭრა და რი-ვალდოს გოლიც ამას მოჰყვა, თუმცა, ის მალევე გააძევეს დენი მილსის და-წიხვლისთვის.

ინგლისის ნაკრებს ჰქონდა უამრავი დრო, რათა შეეტია და ზიფათი შეე-ქმნა მეტოქის კართან, იმდენი დრო ჰქონდა, რამდენიც თითქმის არასოდეს აქვს ხოლმე ინგლისის ნაკრებს, როცა აგებს, მაგრამ არაფერი. შვედი იჯდა და ტუჩებს პრუწავდა, „დიდ ფილს" კი ამ ჩემპიონატში პირველად მიეცა შანსი, თავისი საყვარელი თამაში ეთა-მაშა საკუთარ ნახევარზე. ჰოდა, „დი-დმა ფილმაც" ითამაშა, ინგლისის ნაკ-რები კი, საუკუნის განმავლობაში გა-ნთქმული შეტევის წყურვილით, აგრე-სიით და გულისამაჩქროლებელი უტე-ხობით, მთელი შემადგენლობით ჩაეწერა პაციფისტურ მოძრაობაში.

ეჰ, შვედო, გაძლება ამ საღამოდან ნახე, თორემ აქამდე რა იყო?

ინგლისელებმა პირველი ოფიციალუ-რი მატჩი წააგეს ერიკსონის ხელქვე-ით. ეს იყო ყველაზე მნიშვნელოვანი მატჩი, თუმცა, ალბათ ეგონათ, რომ ყვე-ლაზე მნიშვნელოვანი მატჩი უკვე მო-იგეს და თუ არგენტინას მოუგებ, წინ ველარავინ დაგიდგება.

ამისთანა რა ჩამჩლელობა უნდა გაგი-ჯდეს სისხლში, რომ წინ ვერ წაიწიო?

სისწრაფე, რაც ასე იტაცებს თვალს ინგლისური ფეხბურთის ცქერისას, ამ გუნდში არ არსებობდა.

ზოგადად რომ შევნიშნოთ, არ შეიძ-ლება ხუთი თამაში ერთნაირად ითამა-შო და მოიგო იმიტომ, რომ კარგად იყენებ მოწინააღმდეგის შეცდომას. ასე მოიგო ინგლისმა არგენტინასთან და დანიასთან და ასე იგებდა დღესაც.

რა თქმა უნდა, ერიკსონის ჭკუა და ინტელექტი განთქმულია, მაგრამ ერთ-გვარი მექანიკურობა, რაც მან მოიტა-ნა ინგლისელთა შეტევაში, ყოველგვარ ჯიგარსაა მოკლებული. ეგებ ეს მკვ-ლელი მექანიკურობაც იყოს, მაგრამ ყოველთვის არ გაამართლებს, რადგან ფეხბურთი არ არის მხოლოდ სხვის შეცდომებზე აგებული თამაში, მით უმე-ტეს, როცა, შენც უშვებ შეცდომებს.

ასე გამოეთხოვა მსოფლიოს ჩემპი-ონატს ყველაზე უკეთ თავის დამცვე-ლი ნაკრები, რომელსაც ბრაზილიელე-ბთან იგივე დაემართა, რაც შვედებთან, იმ განსხვავებით, რომ შვედებმა ვერ გაიტანეს მაშინ, როცა ინგლისელებმა არ იცოდნენ როგორ შეეტიათ. სასაცი-ლოა, არა? ინგლისმა არ იცოდა როგორ შეეტია.

რონალდომ კი მთელს ამ ამბავში დასვენებაც მოახერხა. ბრაზილია აგრ-ძელებს გამარჯვებულ სვლას და ახლა თილისმაც ეყოლება: ამ დილით, სეუ-ლში ჩაფრინდა ედსონ არანტეს დუ ნასიმენტუ, პელე, რომელმაც აეროპო-რტშივე განაცხადა, რომ ბრაზილია მე-ხუთედ გახდება მსოფლიოს ჩემპიონი.

ამასთანავე, პელემ, რომელსაც ძა-ლიან უყვარს ხოლმე მასპინძელთა პა-ტივისცემა, განაცხადა, რომ კორეის ნა-კრები აუცილებლად დაამარცხებს ეს-პანელებისას და კიდევ უფრო შორსაც წავა. თუმცა, ფეხბურთის მეფემ იქავ დაურთო, ნამდვილი ფავორიტი გერმა-ნია გახლავთ, რომელიც იოლად დაა-მარცხებს ამერიკელებსო.

იოლისა რა გითხრათ და გერმანიამ კი მოიგო. ისე, როგორც სხვა თამაშე-ბი ამ ჩემპიონატზე. ამერიკის ნაკრები შინ გაემგზავრა, თუმცა, სული შეტე-ვაში დალია, რაც საამაყო მაინც არის, ინგლისელთაგან განსხვავებით. ჰოუ და-ლასს კი ნამდვილად უნდა დაენიშნა პენალტი გერმანელთა კარში, მაგრამ მსაჯები მიპქარავენ ამ ჩემპიონატის ლამის ყველა მატჩში და ესეც მორი-გი, უკვე რიგითი მიქარვა იყო.

გუნდები უკვე მიეჩვიენ ამას და მა-ყურებელსაც მოუწევს.

ამ დროს კი ახლოვდება დარჩენილი ორი მეოთხედფინალი და კორეის ნაკ-რებიც მზადაა. კორეის რესპუბლიკის მომავალი პრეზიდენტი გუს ჰიდინკი ამბობს, რომ ხუთი თითივით იცის ეს-პანელთა თამაში. რახან ამბობს, ესე იგი, იცის. ჰიდინკი უახლოვდება თავის მო-რიგ ნახევარფინალს მსოფლიოს ჩემპი-ონატებზე და უკან სრულიად კორეა უდგას. ჰიდინკი მასპინძელია. კორეა უკვე იმ ძალის გუნდია, რომ მისთვის გვა-რიანი მნიშვნელობა აქვს მასპინძლო-ბას. ჰიდინკი იმასაც ამბობს, რომ ესპა-ნელები უხეშები არიან და თამაშის მე-ორე ნახევარში უეჭველად ათნი დარ-ჩებიან. წითელი ესპანური ღვინის მოყ-ვარე ეს კაცი ზოგადად ესპანეთზე მა-ინც და მაინც კარგი გულის არ არის და ესპანელ ფეხბურთელებსაც კარგად იმიტომ იცნობს, რომ მადრიდის „რეალს" წვრთნიდა. ჩვენებური მსოფლიო საფეხ-ბურთო შეთქმულების ფილოსოფიის მი-მდევრებმა ეგებ წინასწარი მინიშნებაც ამოიკითხონ ჰიდინკის ამ განცხადება-ში. ჩვენ კი ისღა დაგვრჩენია დაველო-დოთ, ესპანეთსაც ისე დააკლდება კაცი კორეელებთან შეხვედრაში, როგორც იტალიას დააკლდა, თუ ესპანელები და-ცვაში მიიღებენ წითელ ბარათს.

ესპანელთა დასამარცხებლად კორე-ელებს მერვედფინალური ჯანი და წე-სრიგი სჭირდებათ. მეოთხედფინალე-ბში ირკვევა, ვის შერჩენია ჯანი.

ესპანელები რაულის ძირითადში გა-მოსვლაზე ბჭობენ, „პერუჯას" მიერ ტრანსფერზე დაყენებულმა კორეის გმირმა ანმა კი გუდას პირი მოხსნა და რაც კი რამ იტალიაში გაჭირვება გადახდენია, ყველაფერი მედიას უა-მბო. თურმე ამ უბედურს იტალიური კერძები ვერ დაუგემოვნებია და რვა თვე ნაყინისა და შოკოლადის ჭამაში გაუტარებია. გუნდისგან მიმაგრებული თარჯიმანიც ვერაგი კაცი გამოდგა-რა და როცა საბრალო ანს ეტყოდნენ, წინ გადაეცი ბურთიო, ის უთარგმნი-და გვერდზე გაუგორეო. ანი სწუხს, რომ იტალიელები ასეთები ყოფილან: მოგება კი იციან, მაგრამ წაგება არ სცოდნიათ, რა უნდა მექნა, ბურთი კა-რისთვის იმიტომ უნდა ამეცილებინა, რომ „პერუჯაში" ვგდებულიყავი? კი-თხულობს ფეხბურთელი, რომელსაც უკვე ესპანეთიდან და ინგლისიდან მი-ულია მიწვევები.

**აი, თქვენ ორი ნახევარფინალისტი:**

**გერმანია და ბრაზილია**



რონალდინიომ გაიტანინა, გაიტანა და გააძევეს კიდეც

REUTERS



ერიკსონის ინგლისისგან მოგონებაღა დარჩა

REUTERS






REUTERS

## საგანგებო ლოზუნგი

## ნუ მოკლავ, სიმენს!

### ჩემპიონთა ლიგა 2002-2003. პირველი საკვალიფიკაციო ეტაპი

I მატჩები — 17 ივლისი, საპასუხოები — 24 ივლისი

1 ტამპერე (ფინეთი) — პიუნიკი (სომხეთი)
2 სკონტო (ლატვია) — ბარი თაუნი (უელსი)
3 პორტდაუნი (ჩრდ. ირლანდია) — ბელშინა (ბელარუსი)
4 დუდელანჟი (ლუქსემბურგი) — ვარდარი (მაკედონია)
5 კაუნასი (ლიტვა) — დინამო (ალბანეთი)
6 ფლორა (ესტონეთი) — აპოელი (კვიპროსი)
7 ჟელეზნიჩარი (ბოსნია) — აკრანესი (ისლანდია)
8 ჰიბერნიანსი (მალტა) — შელბურნი (ირლანდია)
**9 *ტორპედო (საქართველო)* — B 36 ტორსჰაგენი (ფარერები)**
10 შერიფი (მოლდოვა) — ჟენისი (ყაზახეთი)

### ჩემპიონთა ლიგა 2002-2003. მეორე საკვალიფიკაციო ეტაპი

I მატჩები — 31 ივლისი, საპასუხოები — 7 აგვისტო

დინამო (უკრაინა) — 1 წყვილის გამარჯვებული
**სპარტა (ჩეხეთი) — *9 წყვილის გამარჯვებული***
ბრიუგე (ბელგია) — დინამო (რუმინეთი)
ბოავიშტა (პორტუგალია) — 8 წყვილის გამარჯვებული
10 წყვილის გამარჯვებული — გრაცერი (ავსტრია)
ბრონდბიუ (დანია) — 5 წყვილის გამარჯვებული
მაკაბი (ჰაიფა, ისრაელი) — 3 წყვილის გამარჯვებული
4 წყვილის გამარჯვებული — ლეგია (პოლონეთი)
ლილესტრიომი (ნორვეგია) — 7 წყვილის გამარჯვებული
ზალაეგერსეგი (უნგრეთი) — ზაგრები (ხორვატია)
მარიბორი (სლოვენია) — 6 წყვილის გამარჯვებული
2 წყვილის გამარჯვებული — ლევსკი (ბულგარეთი)
ჰამარბი (შვედეთი) — პარტიზანი (იუგოსლავია)
ზილინა (სლოვაკეთი) — ბაზელი (შვეიცარია)



ინსბრუკელებს ჩემპიონობის სიხარული ჩაუმწარდათ

# უფულობამ ავსტრია გადანომრა

ესეც წილისყრა. მართალია, ჩემპიონთა ლიგის და უეფას თასის უმდაბლესი საკვალიფიკაციო ეტაპების წილისყრა გამორჩეულად ხმაურიანი ამბავი არასდროს ყოფილა, მით უმეტეს, ახლა, გაგანია მსოფლიოს ჩემპიონატის დროს, მაგრამ ქართული გუნდები, რა ხანია, უფრო მნიშვნელოვანი წილისყრის მონაწილენი არ არიან და ამით უწევთ დაკმაყოფილება.

აქ წილისყრის შედეგებზე არ შევჩერდებით, ვის ვინ ერგო, ისედაც თვალნათლივ ჩანს, ქართველთა მეტოქეებს კი ცალკე გაგაცნობთ. ქვემოთ ის ვთქვათ, რაც დაკვირვებულ თვალს შეუსაბამობად მოეჩვენებოდა.

2001-2002 წლების სეზონის ავსტრიის მაქს-ბუნდესლიგა ინსბრუკის „ტიროლმა" მოიგო, მეორეადგილოსან „შტურმს" მთელი ათი ქულით გაუსწრო. ავსტრიას ჩემპიონთა ლიგაში ორი ადგილი ერგება და, შესაბამისად, ინსბრუკელები მესამე საკვალიფიკაციო ეტაპიდან უნდა ჩაბმულიყვნენ გათამაშებაში, „შტურმი" კი, მეორე საკვალიფიკაციოდან. მესამე-მეოთხე ადგილებზე გასული გუნდები — „გრაცერი" და „აუსტრია" უეფას თასზე გავიდნენ.

მაგრამ ჩემპიონთა ლიგის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპზე ავსტრიელთა წარმომადგენლად „შტურმის" ნაცვლად „გრაცერი" წერია, ხოლო უეფას თასზე მაქს-ბუნდესლიგის მეხუთეადგილოსანი „კერნტენი" ითამაშებს.

საქმე ის გახლავთ, რომ ავსტრიის ფეხბურთის ფედერაციამ ჩემპიონ „ინსბრუკს" ლიცენზია ჩამოართვა და ბუნდესლიგიდან რეგიონალლიგაში მოისროლა (მესამე დივიზიონი). მიზეზი ფინანსებში უნდა ვეძებოთ. იქაური წესებით, ბუნდესლიგის გუნდი ვალდებულია, ახალი სეზონის წინ 4,5 მილიონ ევროზე გარანტია წარადგინოს. ეს ის მინიმალური თანხაა, რაც ჩემპიონატის ნორმალურად ჩამთავრებისთვის გუნდს სჭირდება. მაგრამ ამ ფულს ვინ ჩივის, როცა ჩემპიონს 16 მილიონი ევრო ვალი აქვს და იმას ვერ ისტუმრებენ. ჰოდა, ფედერაციის გადაწყვეტილებამაც არ დააყოვნა.

აქედან გამომდინარე, ჩემპიონთა ლიგის მესამე საკვალიფიკაციო ეტაპზე „შტურმი" ითამაშებს, მეორეში — „გრაცერი". უეფას თასის პირველი რაუნდიდან შეჯიბრში „აუსტრია" ჩაებმება, „კერნტენი" კი, რომელსაც ბედმა ასეთი საჩუქარი მოუმზადა, ლატვიური „მეტალურგსით" დაიწყებს.

### უეფას თასი 2002-2003. საკვალიფიკაციო ეტაპი

I მატჩები — 15 აგვისტო, საპასუხოები — 29 აგვისტო

**კოპენჰაგენი (დანია) — *ლოკომოტივი (საქართველო)***
**TVMK ტალინი (ესტონეთი) — *დინამო (საქართველო)***
ლიტექსი (ბულგარეთი) — ატლანტასი (ლიტვა)
ენკამპი (ანდორა) — ზენიტი (რუსეთი)
ატირაუ (ყაზახეთი) — პუხოვი (სლოვაკეთი)
გლენტორანი (ჩრდ. ირლანდია) — ვისლა (პოლონეთი)
პობედა (მაკედონია) — მიდტიულანდი (დანია)
პრიმორიე (სლოვენია) — ზვარტნოცი (სომხეთი)
ვენტსპილსი (ლატვია) — ლუგანო (შვეიცარია)
ჰაპოელი (თელ ავივი, ისრაელი) — პარტიზანი (ალბანეთი)
აელი (კვიპროსი) — ფერენცვაროში (უნგრეთი)
ჰაიდუკი (ხორვატია) — გი გოტუ (ფარერები)
ბრანი (ნორვეგია) — სუდუვა (ლიტვა)
ამიცა (პოლონეთი) — ლანსანტფრეიდი (უელსი)
მეტალურგსი (ლატვია) — კერნტენი (ავსტრია)
ვადუცი (ლიხტენშტაინი) — ლივინგსტონი (შოტლანდია)
სლიმა უონდერერზი (მალტა) — პოლონია (პოლონეთი)
ანართოსისი (კვიპროსი) — გრევენმახერი (ლუქსემბურგი)
ლევადია (ტალინი, ესტონეთი) — მაკაბი (თელ ავივი, ისრაელი)
ლეიქსოეში (პორტუგალია) — ბელასიცა (მაკედონია)
სტაბეკი (ნორვეგია) — ლინფილდი (ჩრდ. ირლანდია)

სიგმა (ჩეხეთი) — სარაევო (ბოსნია)
ზიმბრუ (მოლდოვა) — გიოტებორგი (შვედეთი)
უიპეშტი (უნგრეთი) — კლაქსვიკარი (ფარერები)
მიუპა (ფინეთი) — ოდენსე (დანია)
დინამო (მინსკი, ბელარუსი) — ცსკა (ბულგარეთი)
სერვეტი (შვეიცარია) — სპარტაკი (სომხეთი)
იურგორდენი (შვედეთი) — შემროკ როვერსი (ირლანდია)
ვარტექსი (ხორვატია) — დანდალკი (ირლანდია)
გომელი (ბელარუსი) — ჰიკ (ფინეთი)
ნისტრუ (მოლდოვა) — აბერდინი (შოტლანდია)
ვესტმანაეიარი (ისლანდია) — აიკ (შვედეთი)
რაპიდი (რუმინეთი) — ნოვა გორიცა (სლოვენია)
დომანანო (სან მარინო) — ჟიჟკოვი (ჩეხეთი)
კაირატი (ყაზახეთი) — ცრვენა ზვეზდა (იუგოსლავია)
მეტალურგი (ზაპოროჟიე, უკრაინა) — ბირკირკარა (მალტა)
ბანგორ სიტი (უელსი) — სარტიდი (იუგოსლავია)
კობა სენეცი (სლოვაკეთი) — შიროკი ბრიაგი (ბოსნია)
ტირანა (ალბანეთი) — ნაციონალი (რუმინეთი)
ავენირი (ლუქსემბურგი) — იფსვიჩ თაუნი (ინგლისი)
ფილკირი (ისლანდია) — მუსკრონი (ბელგია)

# ქართველების წილხვედრი

ჩემპიონთა ლიგა 2002-2003. პირველი საკვალიფიკაციო ეტაპი
I მატჩი — 17 ივლისი, საპასუხო — 24 ივლისი

## ტორპედო (საქართველო) — B 36 ტორსჰავენი (ფარერები)

**B 36**
ტორსჰავენი, ფარერები

დაარსდა 1936 წელს
პრეზიდენტი: კრისტიან ე-ნეისტაბო
მთავარი მწვრთნელი: პიოტრ კრაკოვსკი
სტადიონი: „გუნდადალური" (ტევადობა 6 000)
ფარერების ჩემპიონი (7): 1936, 48, 50, 59, 62, 97, 2001
თასის მფლობელი (2): 1991, 2001

*მეკარეები:* რენე ტორგარდი, ტრონდურ ვატნამარი;
*მცველები:* არნბიორნ დანიელსენი, ფროდი კლემენტსენი, პოლ ტორსტეინსონი, ევილ ზაზარიასენი, ბიარნი ეირიკსტეინ პრიორი, ჰერბერტ ილონ იაკობსენი;
*ნახევარმცველები:* რონი სამუელსენი, იენს კრისტიან ჰანსენი, მაგნი ე-ლაკიუნი, იან გუტესენი, ეიდუნ ჰენცე ჰოიგაარდი, ნილს იოენსენი, კენეტ იაკობსენი, რაინარ პოულსენი, კლემინტ მატრასი;
*თავდამსხმელები:* ბრინლეიფ ჰანსენი, იაკუპ ე-ბორგი, იონ პეტერსენი, ტორალევურ პოულსენი, ჰედინ ე-ლაკიუნი






იონ პეტერსენი (№10) ფარერელთა მთავარმეგოლეა

# შტელინმა კუნძულები გაიცნო და პრაღის ბილეთს უკვეთავს

## დაცვამ დაიგვიანა: თოდუა და აბრამიძე ტორპედოსთან არ შეიკრიბნენ



[illegible] ფოტო

*ჩემპიონთა ლიგის პირველი საკვალიფიკაციო ეტაპების წილისყრამ ქუთაისის „ტორპედოს" პირველ მეტოქედ ფარერის კუნძულების „B 36 ტორსჰაგენი" არგუნა. ამის შესახებ ტორპედოელებმა ბაკურიანში შეიტყვეს. მოგეხსენებათ, ჩვენი ჩემპიონი ახლა ამ მაღალმთიან დაბაში იმყოფება შეკრებაზე. „ტორპედოს" ახალ თავკაცს, ალექსანდრ შტელინს შეთანხმებისამებრ ტურბაზა „ბაკურიანში" შევეხმიანეთ. ჩვენი პირველი შეკითხვა, ცხადია, ქუთაისელთა მეტოქის შესახებ იყო.*

**— რამდენად კმაყოფილი ხართ წილისყრით და რა იცით მეტოქეზე?**

— მიკიბ-მოკიბვის გარეშე გეტყვით, სადღაც გაგვიმართლა, შესაძლებელი იყო, პირველ საკვალიფიკაციო ეტაპზე უფრო ძლიერი მეტოქე შეგვხვედროდა. „ტორსჰაგენზე" მწირ ინფორმაციას ვფლობ, მხოლოდ ის ვიცი, რომ ეს გუნდი ბოლო წლებში სისტემატურად მონაწილეობს ევროტურნირებში და იქ წარმატებული გამოსვლით ვერ დაიკვეხნის. მე უფრო ფარერების ნაკრებზე შემიძლია საუბარი, რადგან რამდენჯერმე ვნახე მისი თამაში. კუნძულელები კლასით არ გამოირჩევიან, მაგრამ მათ წინააღმდეგ თამაში იოლი მაინც არ არის. ისინი ფიზიკურად ძლიერები არიან, ხისტად იბრძვიან დაცვაში, ძირითადად მეტოქის შეტევების ჩაშლაზე მუშაობენ, თუმცა ამასთან ერთად სწრაფი კონტრიერიშის განხორციელების შანსსაც არ უშვებენ ხელიდან.

**— თქვენ ფიქრობთ, „ტორპედოს" გაუჭირდება პირველი ბარიერის დაძლევა?**

— გაჭირვებისა რა მოგახსენოთ, მაგრამ სიფხიზლე კი გვმართებს, მეტოქის შეუფასებლობა კარგს არაფერს მოგვიტანს, ფეხბურთს ახლა ყველა თამაშობს.

**— პირველი მატჩი რომ ქუთაისშია, კარგია თუ ცუდი?**

— ამას გადამწყვეტი მნიშვნელობა არ აქვს. მთავარია, თამაშებს სრულად მობილიზებულნი შევხვდეთ.

**— „ტორსჰაგენს" თუ აჯობებთ, ჩეხურ „სპარტასთან" მოგიწევთ დაპირისპირება...**

— „სპარტა" ყოველთვის გამოირჩეოდა სტაბილურობით, დიდი ტრადიციების გუნდია, გამოცდილება და ავტორიტეტი არ აკლია. პრაღელები ჩემპიონთა ლიგის წინა გათამაშებებში ტოლ-სწორად ეპაექრებოდნენ ევროპელ გრანდებს. ბოლო სეზონში „სპარტას" მცირედი ჩავარდნა ჰქონდა, ჩეხეთის ჩემპიონატში მეორე ადგილს დასჯერდა. ეს ამბავი უფრო გუნდში მიმდინარე თაობათა ცვლასთან იყო დაკავშირებული. „სპარტა" საგრძნობლად გაახალგაზრდავდა, მაგრამ თამაშის ხელწერა შეინარჩუნა და ნებისმიერი გუნდისთვის დიდ საფრთხეს წარმოადგენს. არ მინდა, მოვლენებს გავუსწრო, მაგრამ თუ კუნძულელებს გავცდით, ჩეხებთან უმძიმესი ბრძოლები გვექნება.

**— მაგრამ არა უიმედო?**

— ცხადია, ჩვენ ჩვენსას უნდა ვეცადოთ.

**— ბაკურიანში როგორ ემზადებით?**

— რაც აქ ჩამოვედით, განუწყვეტლივ წვიმს, მაგრამ ვცდილობთ, არ გავზარმაცდეთ და სამუშაო გეგმაში ჩავეტიოთ.

**— რამდენადაც ვიცით, ჯერაც ვერ მოხერხდა გუნდის სრულად შეკრება.**

— მართალს ბრძანებთ. რევაზ ქემოკლიძე გუშინ კი შემოგვიერთდა, მაგრამ არ ჩანან ვალერი აბრამიძე და სევასტი თოდუა. მათ ასავალ-დასავალზე არაფერი ვიცი. „ტორპედოს" პრეზიდენტმა ზურაბ ხინიკაძემ გვაცნობა, პოროშინს მგზავრობისას შეეშალა ხელი და დღეიდღეზე ჩამოვაო.

**— „ტორპედოში" ვალტერ გურუას, დათო ჯანაშიას და გრიგოლ ჭანტურიას დაბრუნება რატომ გადაწყვიტეთ?**

— ამაში ცუდს ვერაფერს ვხედავ, ბუნებრივი პროცესია. ჩვენ შანსს ვაძლევთ და მათაც უნდა დაამტკიცონ, რომ „ტორპედოს" ღირსნი არიან. სამივე თავდაუზოგავად ვარჯიშობს. მეტსაც გეტყვით, კახა კვეტენაძემაც „ტორპედოში" დაბრუნების სურვილი გამოთქვა. მისი ბედი მისსავე ხელშია. გვირჩვენოს, რომ კვლავ შეუძლია გუნდისთვის სარგებლობის მოტანა და ჩვენ გზას არ გადავუღობავთ.

**— კახა ჩხეტიანზე რას იტყვით. გავიგეთ, მასაც სურს უნგრული „დებრეცენიდან" წამოსვლა.**

— ჩხეტიანი შარშან ჩემი დახმარებით მოხვდა „დებრეცენში". მასთან კონტაქტი არ გამიწყვეტია და ვიცი, რომ ქუთაისში ჩამოსვლა სურს. მაგრამ ჯერ ისაა გასარკვევი, რა პირობით შეელევა უნგრული კლუბი, ვნახოთ, არც ჩხეტიანის დაბრუნებას გამოვრიცხავ.

**— „ტორპედოს" ქომაგთ აინტერესებთ, აპირებს თუ არა გუნდი ახალი ფეხბურთელებით, მათ შორის, უცხოელებით გაძლიერებას?**

— კონკრეტულად ვერაფერს გეტყვით, იქიდან გამომდინარე, რომ კლუბში სატრანსფერო ბაზართან მიმართებით მუშაობა არ წარმოებს, ძნელი სავარაუდოა, ისევ საკუთარი ძალის იმედი უნდა გვქონდეს.

**— ითქვა, რომ მალხაზ ასათიანი, გივი დიდავა და რევაზ ქემოკლიძე მალე „ტორპედოს" დატოვებენ...**

— არც ერთ მათგანს ჩემთვის მსგავსი არაფერი უთქვამს, ისინი ბავშვები არ არიან, ეს რომ დამიმალონ. „ტორპედოში" არის რამდენიმე ფეხბურთელი, ვისაც საკონტრაქტო ვადა გაუვიდა, მაგრამ მათთან ახალი ხელშეკრულებები უნდა გაფორმდეს და ეს სულ მალე მოხდება. მოსკოვიდან ზურაბ ხინიკაძის ჩამოსვლას ველოდებით. კლუბის პრეზიდენტი სიტყვის კაცია და ყველაფერი ისე მოგვარდება, როგორც გუნდისთვისაა საჭირო.

**— თანაშემწეებზე გვითხარით, მუშაობაში ახალ ხალხს ხომ არ დაიხმართ?**

— არა, ჩემთან ერთად სოსო ფრუიძე, ნოდარ ჭელიძე და გელა კოკალეიშვილი იმუშავებენ. ფიზმომზადებაში კი ამ საქმის საუცხოო სპეციალისტი თამაზ როინიშვილი მეხმარება. მართალია, იგი გუნდის მასაჟისტია, მაგრამ მძლეოსნობის პროფესიონალი მწვრთნელიც გახლავთ.

**— ბაკურიანში ამ თვის ბოლომდე დარჩებით. მერე როგორ იქნება?**

— ამასაც მალე გადავწყვეტთ, მოსკოვში ვაპირებდით მეორე შეკრებას, მაგრამ შესაძლოა, საკუთარ ბაზაზე ვარჯიში ვამჯობინოთ. მთავარი ახლა ისაა, უკეთესად მომზადებისთვის ძლიერი სპარინგ-პარტნიორები მოვძებნოთ. შეგულებულიც გვყავს უკრაინული, რუსული, თურქული გუნდები. ვლადიკავკაზის „ალანიას" ვუთანხმდებით, სტუმრად თუ ქუთაისში ვეთამაშოთ.

**იუზა ძაძიტაძე**



# იყიდება სასწრაფოდ

შიშკინის ფერწერული ტილოების ასლები, მხატვარი ნ. ა. ლვოვი
ტელ: 60-56-53

**უეფას თასი 2002-2003. საკვალიფიკაციო ეტაპი**
UEFA CUP I მატჩი — 15 აგვისტო, საპასუხო — 29 აგვისტო UEFA CUP

## კოპენჰაგენი (დანია) — ლოკომოტივი (საქართველო)

## კოპენჰაგენი

დანია

დაარსდა 1992 წელს
პრეზიდენტი: ფლემინგ ოსტერგაარდი
მთავარი მწვრთნელი: ჰანს ბაკე
სტადიონი: „პარკენი" (ტევადობა 41 641)
დანიის ჩემპიონი (2): 1993, 2001
თასის მფლობელი (3): 1995, 97, 2002



სიბუსისო ზუმა საქართველოს მეორედ ესტუმრება

*მეკარეები:* მაგნუს კოლშტედტი, ბენი გალი, რუნე პედერსენი;
*მცველები:* თომას ანტონელიუსი, ბო სვენსონი, კიმ მადსენი, ბორა ჟივკოვიჩი, პეტერ კრისტიანსენი, მარტინ ალბრეხტსენი, კრისტიან ტრაორე;
*ნახევარმცველები:* კრისტიან პოულსენი, ერიკ მიუკლანდი, თომას როლი, კარსტენ ფრედგაარდი, მორტენ ბისგაარდი, კრისტიან ლონსტრუპი, ჰიალტე ნორეგაარდი, ელრიო ვან ჰეერდენი, პეტერ ჰანსენი;
*თავდამსხმელები:* სიბუსისო ზუმა, ტოდი იონსონი, პასკალ სიმპსონი, პეტერ მიოლერი



მიხეილ აშვეთიას ქართველებთან მეტოქეობა ასცდა

# მცირეა, მაგრამ შანსია

## ლოკომოტივს აშვეთია სიტყვით დაეხმარება

გუშინ ჟენევაში ჩატარებულმა წილისყრამ თბილისურ „ლოკომოტივს" უეფას თასის საკვალიფიკაციო ეტაპზე მეტოქედ დანიური „კოპენჰაგენი" არგუნა. სიმართლე ვთქვათ, რჯინიგზელებს განთესილებს შორის ერთ-ერთი უძლიერესი გუნდი დაუპირისპირდება, თუმც გასაკვირიც არაფერია, საქართველოს ვიცე-ჩემპიონი ხომ „მაჩანჩალათა" კალათაში ერია.

„კოპენჰაგენი" შარშან ზაფხულს სტუმრობდა საქართველოში. სამხრეთაფრიკელი სიბუსისო ზუმასა და მისი თანაგუნდელების ძალა ჩემპიონმა „ტორპედომ" საკუთარ თავზე გამოსცადა. დღეს „ლოკომოტივში" თითქმის არავინ საუბრობს შანსებზე, ყველა ჩაფიქრებულია, თითქოს ბედსაც შეეგუვნენო...



გია ჯიშკარიანი



კახა გოგიჩაიშვილი

**ტარიელ ლებანიძე, „ლოკომოტივის" ვიცე-პრეზიდენტი:** დანიური ფეხბურთის სიძლიერე მსოფლიოს ჩემპიონატზეც კარგად გამოჩნდა. გამოცდილი მეტოქე გვერგო და ფავორიტიც ამ წყვილში „კოპენჰაგენია". „ლოკომოტივის" მოსამზადებელ გეგმაში არაფერი შეიცვლება. 30 ივნისს გავემგზავრებით შეკრებაზე, ვეცდებით, სათანადოდ მოვემზადოთ და დანიაშიც ისე ვითამაშოთ, როგორც ქვეყნის ვიცე-ჩემპიონს ეკადრება.

**გია ჯიშკარიანი, „ლოკომოტივის" მწვრთნელი:** განთესილებში ყველაზე ძლიერი მეტოქე გვერგო. „კოპენჰაგენის" შესახებ სადღეისოდ მხოლოდ შარშანდელი ინფორმაციებით შემოვიფარგლებით. ალბათ, ქუთაისელები არ დაგვამადლიან და „კოპენჰაგენთან" ორმატჩიანი დუელის ვიდეოჩანაწერებს დაგვითმობენ. არა მგონია, გუნდის ძირითადი ბირთვი მას აქეთ დიდად შეცვლილიყო. გარკვეულ ცნობებს მიხეილ აშვეთიაც მოგვაწვდის, რომელიც დანიიდან არც ისე დიდი ხნის დაბრუნებულია. დანარჩენს კი თავად ორმატჩიანი დუელი გამოაჩენს.

**კახა გოგიჩაიშვილი, „ლოკომოტივის" კაპიტანი:** წილისყრის შედეგით გაწბილებული კი ვარ, თუმც ჩვენი რეიტინგის შემყურე უკეთესს არაფერს ველოდი. განთესილებში „კოპენჰაგენზე" ბევრად სუსტი გუნდებიც იყვნენ, მაგრამ ფაქტია, წილისყრის შედეგებს ვერ გავექცევით. დანიელებს სერიოზული გუნდი ჰყავთ, მათ წლეულსაც ჩემპიონობა შეეძლოთ, მაგრამ ამის შანსი ბოლო ტურში გაუშვეს ხელიდან. დღეს თამაში ყველასთან შეიძლება, „ლოკომოტივსაც" თავისი წილი შანსი აქვს მომდევნო ეტაპზე გასასვლელად, თუმც ძალიან მცირე.

**გამუკა კვანტალიანი**

## TVMK ტალინი (ესტონეთი) — დინამო (საქართველო)

## TVMK ტალინი

ესტონეთი

დაარსდა 1995 წელს
პრეზიდენტი: პიოტრ სედინი
მთავარი მწვრთნელი: ვიაჩესლავ სმირნოვი
სტადიონი: „კალევი" (ტევადობა 12 000)

*მეკარეები:* სერგეი უსოლცევი, კონსტანტინ რუბცოვი;
*მცველები:* ევგენი კურიანოვი, ედუარდ სარაიევი, დმიტრი სკიპერსკი, ალექსანდრ კარპიოტშევი, ანტონ მოკოლენკო;
*ნახევარმცველები:* ანდრეი ბორისოვი, მაქსიმ სმირნოვი, მაქსიმ კისელიოვი, ანდრეი კოსტინი, ლიივო ლეეტმა;
*თავდამსხმელები:* ანდრეი კროლოვი, ანატოლი ნოვოჟილოვი, ანდრეი სუვოროვი, დენის მალოვი, ანტონ პაიცევი, ინგემარ ტეევერი



ანდრეი კროლოვმა ესტონეთის მიმდინარე ჩემპიონატში 14 გოლის გატანა მოასწრო




# ესტონეთში ძველი დინამოს ხათრით ახლის ეშინიათ

**გუშინდელი** წილისყრის შემდეგ ჟენევაში დავუკავშირდით თბილისის „დინამოს" აღმასრულებელ დირექტორსაც. აი, რა გვითხრა **გია ფირცხალავამ**.

— კმაყოფილები ვართ. უეფას თასის პირველსავე საკვალიფიკაციო ეტაპზე შესაძლო იყო, „TVMK ტალინზე" უფრო ძლიერი გუნდი შეგვხვედროდა. ესტონელთა წარმომადგენლებს კენჭისყრის დასრულებისთანავე ვესაუბრე. ახალშექმნილი გუნდია, ამბიციური ხელმძღვანელობა ჰყავს, თუმც ვერ ვიტყვი, რას წარმოადგენს ჩვენი მეტოქე. ის კი ცხადია, რომ ტალინელებს თბილისის „დინამოს" მეტოქეობა ძალიან არ ესიამოვნათ. მათ კარგად სცოდნიათ ჩვენი დღევანდელი შესაძლებლობები, წარსულზე აღარც ულაპარაკიათ. კენჭისყრის შემდეგ „TVMK ტალინის" წარმომადგენლები აშკარად დაღარღიანებულები ჩანდნენ. ჩვენ, მოკლედ ვიტყვი, კენჭისყრით კმაყოფილები დავრჩით. მწვრთნელ ივო შუშაკს კი, რომელიც მსოფლიოს ჩემპიონატს ესწრება, ამ ამბავს თბილისიდან შეატყობინებდნენ. არ ვიცი, შუშაკი რას ფიქრობს, ალბათ, უკმაყოფილო არ იქნება.



**კობა ინასარიძე**



## იყიდება უნიკალური წიგნები

ანტონ კათალიკოსის „ქართული ღრამმატიკა" (1885) და „მზა-მეტყველება" (1892), ვახუშტი ბატონიშვილის „საქართველოს გეოგრაფია" (1904), პროფესორ ვუნდტის „ადამიანისა და ცხოველთა სული" (ორ ტომად, რუსულ ენაზე, 1865, 1866) და სხვა. ასევე მოგვიანებით დასტამბული მნიშვნელოვანი გამოცემები. ტ. 30-75-81

# ინტერტოტოს თასი

**დღეს. პირველი ეტაპი**

**ლოკერენი (ბელგია) — ვიტ ჯორჯია (საქართველო)**

## კარნევალის პრობლემები

## იაშვილს კოჭი არ უშვებს, მელქაძეს ბელგია არ უშვებს

**იმედიანად** გაემგზავრნენ თბილისიდან ჯანი კარნევალი და მისი შეგირდები, ბელგიური „ლოკერენი“ ევროპული გრანდი ნამდვილად არ არის და „ვიტ ჯორჯიას“ ორი მატჩის ჯამში ინტერტოტოს გათამაშების მომდევნო ეტაპზე გასვლაც შეუძლიათ.

თითქოს პრობლემაც არაფერი ჰქონდათ ვიტელებს. მართალია, სხვადასხვა მიზეზებით მეკარე სერგო ჭურაძე, მცველი ჯაბა მუჯირი და ნახევარმცველი ოლეგ გველესიანი მოისაკლისეს, მაგრამ იტალიელს მათი სრულფასოვანი შემცვლელებიც ეგულებოდა საბელგიო 18-კაციან განაცხადში.

პრობლემა გერმანია-ბელგიის საზღვარზე წარმოიშვა. ბელგიელმა მესაზღვრეებმა ვეტერინართა მთავარი მეგოლე ლევან მელქაძე ქვეყანაში არ შეუშვეს, პასპორტში ერთწლიანი იტალიური სამუშაო ვიზაა ჩაკრული და უკან გაბრუნება მოგიწევსო.

მელქაძე და დიდმელაშვილი 2001 წლის შემოდგომიდან იტალიური სერია B-ს „სიენას“ მოთამაშეები იყვნენ. „ვიტ ჯორჯიამ“ განათხოვრებული ფეხბურთელები ნახევარწლევს დაიბრუნა, მაგრამ თუ დიდმელაშვილმა მოახერხა პასპორტის წესრიგში მოყვანა, იგივე მელქაძეს რად დაავიწყდა, გაუგებარია. ისე, უპრიანი იქნებოდა კლუბსაც მეტი სიფხიზლე გამოეჩინა. ლევანი გუშინ გამოამგზავრეს თბილისისკენ. მანამდე კიდევ იყო შანსი, ბელგიელი მესაზღვრეები დაერწმუნებინათ, რომ მელქაძე მხოლოდ ორი დღით ესტუმრა მათ ქვეყანას, მაგრამ ამ საქმიდან არაფერი გამოვიდა. დღეს საღამოს, როცა „ვიტ ჯორჯია“ „დაკნამზე“ „ლოკერენის“ პირისპირ დადგება, მელქაძე უკვე თბილისში იქნება და მატჩის ანგარიშსაც ჩვენსავით თუ შეიტყობს.

კარნევალიმ მეორე საწუხარი გუშინვე შეიტყო. გადაწყვეტილი ამბავია, „ლოკერენს“ დღეს ვერც ვიტელთა მეორე ფორვარდი იაშვილი შეუტევს. სანდრომ კოჭი თბილისში ვარჯიშზე იღრძო. სინიორ ჯანის კი ეიმედებოდა, თამაშამდე ტრავმა მოშუშდებაო, მაგრამ გუშინდელმა ბოლო ვარჯიშმა საპირისპირო დაამტკიცა. ასე რომ, კარნევალის 16 ჯანმრთელი ფეხბურთელი შერჩა და ძირითადი თერთმეტეულის შერჩევას ამათგან დღეს დილით აპირებს. „ლოკერენის“ მცველებს კი, ალბათ, ვლადიმერ გოჩაშვილი შეაწუხებს. იტალიელს მის გარდა კიდევ ერთი ფორვარდი კახა წუწუნავა ჰყავს.

„ვიტ ჯორჯიამ“ ბანაკი ლოკერენიდან 60 კილომეტრის მოშორებით, მყუდრო დაბაში დასცა. გუშინწინ იქვე ივარჯიშეს ვეტერინარებმა, გუშინ კი „დაკნამზეც“ მოიდინეს ოფლი. „ლოკერენი“ — „ვიტ ჯორჯია“ დღეს, თბილისის დროით საღამოს 11 საათზე დაიწყება.

**მამუკა კვანტალიანი**



ჯანი კარნევალიმ ლევან მელქაძე თბილისში გამოაცილა

## შვეიცარიამ საქართველოს ცრუმოძრაობა გაუკეთა

**საქართველოს** ეროვნულ გუნდს ევროპის 2004 წლის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის პირველი თამაში 7 სექტემბერს შვეიცარიაში აქვს ჩასატარებელი. ფეხბურთის ფედერაციაში აქამდე ასე იცოდნენ, შვეიცარიელები ბაზელში გვთავაზობენ მასპინძლობასო და თავიდანვე ნაკრების მოსამზადებელი გეგმაც შესაბამისად შეადგინეს.

31 აგვისტოს ქართველები გერმანიაში გაემგზავრებოდნენ და იქ გაივლიდნენ ხუთდღიან შეკრებას. 5 სექტემბერს საღამოს შვეიცარიისკენ აიღებდნენ გეზს, 6-ში ახალგაზრდული გუნდი დაუპირისპირდებოდა მასპინძლებს, მომდევნო დღეს კი — ეროვნული.

გუშინ ფეხბურთის ფედერაციის გენერალურმა მდივანმა ვალერი ჩოლარიამ შვეიცარიელი კოლეგისგან ფაქსი მიიღო. „7 სექტემბერს ბაზელში დიდი ღონისძიებები მოეწყობა, ამიტომ შეიძლება, სხვაგან გიმასპინძლოთო“ — იტყობინება იქაური გენმდივანი. საბოლოო სიტყვას შვეიცარიიდან ფედერაცია ივლისში ელის.

ერთი რამ გადაწყვეტილია, საქართველოს ნაკრები თბილისიდან 31 აგვისტოს მაინც გაემგზავრება. მხოლოდ ისღა დარჩა გასარკვევი, გერმანიაში მოემზადებიან ჩვენებურები თუ შვეიცარიაში.

ქართულ დელეგაციას დედაქალაქიდან „აირზენას“ ბოინგი ამგზავრებს და 8 სექტემბერს იგივე თვითმფრინავი უკანვე დააბრუნებს.

**მამუკა კვანტალიანი**



დავით პეტრიაშვილი და მისი საარჩევნო შტაბის უფროსი კახა ჭუმბურიძე

# ბადრი პატარკაციშვილი ოფიციალურად ადასტურებს: მხარს ვუჭერ პეტრიაშვილს!

## ბიზნესმენები პრეზიდენტობის კანდიდატის გუნდში თამაშობენ

გუშინ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტობის კანდიდატმა დავით პეტრიაშვილმა თავის 15-გვერდიანი საარჩევნო პროგრამის პრეზენტაცია მოაწყო. მთაწმინდაზე, თბილისის ბიზნესცენტრში, ორასამდე კაცი შეიკრიბა და ყურადღებით მოისმინა პრეზიდენტობის კანდიდატის საპრეზიდენტო პროგრამის თეზისები.

დავით პეტრიაშვილის წინასაარჩევნო პროგრამა ქვეყანაში ფეხბურთის განვითარების ხუთი პრიორიტეტული მიმართულებისგან შედგება — ბავშვთა ფეხბურთი, ნაკრები გუნდები, ეროვნული ჩემპიონატი და კლუბები, ფეხბურთში მოსაქმეთა პროფესიული კვალიფიკაციის ამაღლება და სამართლებრივი ბაზის სრულყოფა.

ბიზნესცენტრში შეკრებილთათვის დავით პეტრიაშვილს ბევრი ლაპარაკით თავი არ შეუწყენია და თავის პროგრამის პოსტულატები ჩამოაყალიბა

1. **ბავშვთა ფეხბურთი.** რა თქმა უნდა, ბავშვთა ფეხბურთს უდიდესი ყურადღება მიექცევა. მის განვითარებას პერმანენტული ხასიათი უნდა მიეცეს — თქვა დავით პეტრიაშვილმა — ბავშვთა ფეხბურთის განვითარების პროგრამა 13 პუნქტისგან შედგება: პატრიოტიზმის თემა; ეზოს ფეხბურთი; სასწავლო პროცესის წარმართვა უეფას რეკომენდაციების საფუძველზე; განათლების სამინისტროსთან ერთად ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში საფეხბურთო გაკვეთილების დანერგვა; რეგიონალურ ფედერაციებისთვის მაქსიმალური დახმარება ბავშვთა შორის მასობრივი საფეხბურთო ღონისძიებების ორგანიზებაში; ლიცენზირების კურსების ინტენსიურობის გაზრდა...

2. **ნაკრები გუნდები.** კლუბებს არ ვაკნინებ, მაგრამ მთავარი მაინც ნაკრები გუნდებია, რომელთაც შეუძლიათ, ქვეყანას სახელი გაუთქვან — ამბობს პრეზიდენტობის კანდიდატი — დღეისთვის არ არსებობს საქართველოს სხვადასხვა ნაკრებების მომზადების ერთიანი სისტემა; არ არსებობს სხვადასხვა ასაკობრივ ნაკრებებს შორის ურთიერთთანამშრომლობა, საბოლოო მიზნის მისაღწევად ეროვნული გუნდისთვის ფეხბურთელთა მომზადება; ნაკრები გუნდების მომზადებისას სტრუქტურის ხშირი ცვლა ქაოსს ქმნის; უნდა ჩამოყალიბდეს ერთიანი ჩარჩო-გეგმა, უნდა იზიარებდეს ყველა ასაკობრივი ნაკრების მწვრთნელი; აუცილებელია, ნაკრებ გუნდებს ჰყავდეს სპონსორი: საქართველოს ნაკრები, თუ არ ვცდები, ერთადერთია, რომელსაც დამფინანსებელი არ ჰყავს. ტექნიკურ მხარეს არ ვგულისხმობ, სპონსორი ფედერაციას ხარჯებს მნიშვნელოვნად შეუმცირებს — ჩარტერული რეისები, ლეგიონერთა გამოძახება, სასტუმრო, კვება, საორგანიზაციო საკითხების მოსაგვარებლად 2-3 კაცის მივლინება.

3. **სამართლებრივი ბაზის სრულყოფა.** საქართველოში საფეხბურთო სამართლებრივი ბაზის ვაკუუმია — აცხადებს დავით პეტრიაშვილი — ფედერაციას თავის სუბიექტებთან და საერთოდ, საფეხბურთო საქართველოსთან ურთიერთობის მოწესრიგების ერთადერთი ბერკეტი არის სამართლებრივი ბაზის სრულყოფა. ფეხბურთის ფედერაციის წესდება შეუსაბამოა უეფასთან და არასრულფასოვანია. ამის საბუთად გამოდგება უეფას აუდიტის დასკვნაც; დასახვეწია შიდა სატრანსფერო პოლიტიკაც; არ არის ნათლად გადანაწილებული უფლებამოსილებანი სფფ-ის სხვადასხვა მმართველ ორგანოს შორის.

4. **პროფესიული კვალიფიკაციის ამაღლება.** მწვრთნელი კვალიფიკაციის ასამაღლებლად ფულს არ უნდა იხდიდეს, ამას ფეხბურთის ფედერაცია უნდა აკეთებდეს — თქვა პეტრიაშვილმა — კატეგორიული წინააღმდეგი ვარ იმისა, რომ მოუმზადებელი მწვრთნელი გაემგზავროს უცხოეთში სასწავლებლად. იმდენი უნდა შევძლოთ, რომ საქართველოში სრულფასოვნად ჩამოყალიბდეს მწვრთნელთა კვალიფიკაციის ამაღლების ცენტრი, აქ მომზადებულებმა კი უცხოეთის ცნობილ ცენტრებში გაიმდიდრონ ცოდნა. სხვაგვარად ფულს ტყუილად გადავიხდით.

5. **ეროვნული ჩემპიონატი და კლუბები.** ჩემპიონატის უმაღლესი, პირველი და რეგიონული ლიგის გუნდები უნდა გათავისუფლდნენ სამსაჯო-საინსპექტორო გადასახადებისგან მინიმუმ 2005-06 წლამდე. შეჯიბრებებს ფედერაცია დააფინანსებს. პრეზიდენტობის კანდიდატის აზრით, უნდა ჩამოყალიბდეს პროფესიული საფეხბურთო ლიგა, თუმც ამჟამად საქართველოს ჩემპიონატში მონაწილე კლუბთა 90 პროცენტი ვერ აკმაყოფილებს პროფესიული ლიგის მოთხოვნებს. სწორედ ის თანხა, რაც კლუბებს აქვთ გადასახდელი, თავიანთი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის უზრუნველყოფას მოახმარონ და 2004 წლიდან, ვიმედოვნებ, ჩამოვაყალიბებთ პროფესიულ საფეხბურთო ლიგას, რაც ქართული ფეხბურთის დონეს მნიშვნელოვნად აამაღლებს.

ამის გარდა დავით პეტრიაშვილმა საფეხბურთო ტოტალიზატორების და სხვადასხვა ლატარიების მოზიდვაზეც ილაპარაკა.

შეკრება მთავრდებოდა, როცა სიტყვა **ბადრი პატარკაციშვილმა** ითხოვა:

— დავით პეტრიაშვილის საარჩევნო პროგრამას ადრევე გავეცანი. ვეთანხმები და ყველანაირად ხელს შევუწყობ. ბატონი პეტრიაშვილის იდეები აბსოლუტურად ხატავს იმ სურათს, რა დღეშიც ქართული ფეხბურთია და რაც ქართულ ფეხბურთს ააღორძინებს. მე, ჩემი გუნდით, დავით პეტრიაშვილის მხარდამჭერი ვარ და ვითანამშრომლებ ყველასთან, ვინც ამ პროგრამას გაიზიარებს. დროს ტყუილად არ დავხარჯავდი, აქ მოვედი, რომ გითხრათ — დავით პეტრიაშვილის იდეებს ვიზიარებ და მას ყველანაირად დავეხმარები.

***ვანო ჩხარტიშვილი:***

— ის ბიზნესმენები, რომლებიც გადამხდელთა კავშირს წარმოადგენენ, მხარს უჭერენ დავით პეტრიაშვილის საარჩევნო პროგრამას. მე, როგორც გაერთიანებული ბანკის თავმჯდომარე, პეტრიაშვილის პრეზიდენტობისას მონაწილეობას მივიღებ ქართული ფეხბურთის აღორძინების საქმეში. ბიზნესმენთა დიდი ნაწილი სწორედ პეტრიაშვილის მხარდამჭერია.

შეკრების ბოლოს დავით პეტრიაშვილმა თავის იდეების გამზიარებელთ დიდი მადლობა მოახსენა და კეთილი სურვილებით დაგვემშვიდობა.

**კობა ინასარიძე**





ბადრი პატარკაციშვილმა დავით პეტრიაშვილის მხარდაჭერა საჯაროდ დაადასტურა

# სარბიელი და კროკო

# წარმოგიდგენთ

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **ინტერტოტო. I ეტაპი. I წრე** | | | | | | |
| | | **22 ივნისი** | | | | | | |
| 19.00 | 036 | კოლრეინი (ჩრდ.ირლ.)-სანტ ჯულია (ანდორა) | 1,15 | 5,3 | 10,0 | 1 | 1 | 3,45 |
| 19.00 | 037 | ცემენტარნიცა (მაკ.)-პაფნარფიორდური (ისლ.) | 1,65 | 3,3 | 4,7 | 1,1 | 1,2 | 1,9 |
| 20.00 | 038 | მარეკი (ბულგარეთი)-კაერსისი (უელსი) | 1,25 | 4,4 | 8,0 | 1 | 1,05 | 2,8 |
| 20.00 | 039 | ბატე (ბელარუსი)-აკადემისკი (დანია) | 2,4 | 3,0 | 2,7 | 1,3 | 1,25 | 1,4 |
| 20.00 | 040 | კონსტრუქტორული (მოლდ.)-სინოტი (ჩეხეთი) | 2,8 | 3,1 | 2,3 | 1,45 | 1,25 | 1,3 |
| 20.00 | 041 | პარალიმნი (კვიპროსი)-ბრეგენცი (ავსტრია) | 2,5 | 3,0 | 2,5 | 1,35 | 1,2 | 1,35 |
| 21.00 | 042 | ლეირია (პორტუგალია)-ლევადია (ესტონეთი) | 1,25 | 4,4 | 8,0 | 1 | 1,05 | 2,8 |
| 21.00 | 043 | სტ.გალენი (შვეიც.)-ბ68 ტოფტირი (ფარერები) | 1,1 | 6,0 | 12,0 | 1 | 1 | 4 |
| 21.00 | 044 | ვალეტა (მალტა)-ტეუტა (ალბანეთი) | 2,1 | 3,1 | 3,2 | 1,2 | 1,25 | 1,55 |
| 21.00 | 045 | პონვედი (უნგრეთი)-კალგირისი (ლიტვა) | 1,55 | 3,5 | 5,3 | 1,05 | 1,1 | 2,1 |
| 21.30 | 046 | რიეკა (იუგოსლავია)-სტ.პატრიკსი (ირლანდია) | 1,25 | 4,4 | 8,0 | 1 | 1,05 | 2,8 |
| 22.00 | 047 | დუკლა (სლოვაკეთი)-სლავენი (ხორვატია) | 2,3 | 3,0 | 2,9 | 1,3 | 1,25 | 1,45 |
| 22.30 | 048 | ციურიხი (შვეიცარია)-ბროტნიო (ბოსნია) | 1,25 | 4,4 | 8,0 | 1 | 1,05 | 2,8 |
| 23.00 | 049 | ლოკერენი (ბელგია)-ვიტ ჯორჯია (საქართვ.) | | | | ანგარიში – 5,0 | | |
| 00.30 | 050 | სანტა კლარა (პორტუგალია)-შირაკი (სომხეთი) | 1,2 | 5,0 | 9,0 | 1 | 1,05 | 3,2 |
| | | **23 ივნისი** | | | | | | |
| 20.00 | 051 | ჰელსინგბორგი (შვედეთი)-კოპერი (სლოვენია) | 1,5 | 3,6 | 5,6 | 1,05 | 1,15 | 2,15 |
| 20.00 | 052 | გლორია (რუმინეთი)-უნიონი (ლუქსემბურგი) | 1,1 | 6,0 | 12,0 | 1 | 1 | 4 |
| 20.00 | 053 | ზაგლებე (პოლონეთი)-დინაბურგი (ლატვია) | 1,45 | 3,6 | 6,5 | 1 | 1,15 | 2,3 |
| 20.30 | 054 | ობილიჩი (იუგოსლავია)-ჰაკა (ფინეთი) | 1,65 | 3,4 | 4,4 | 1,1 | 1,2 | 1,9 |
| 21.00 | 055 | ბრნო (ჩეხეთი)-აშდოდი (ისრაელი) | 1,4 | 3,8 | 7,0 | 1 | 1,15 | 2,45 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **ნორვეგია. XIII ტური** | | | | | | |
| | | **22 ივნისი** | | | | | | |
| 19.00 | 010 | ოდ გრენლანდი-ლილესტრომი | 1,8 | 3,3 | 3,6 | 1,15 | 1,1 | 1,7 |
| | | **23 ივნისი** | | | | | | |
| 21.00 | 011 | ბოდიო გლიმტი-სტარტი | 1,6 | 3,5 | 4,7 | 1 | 1,15 | 2 |
| 21.00 | 012 | სოგნდალი-მოლდე | 3,4 | 3,3 | 1,9 | 1,65 | 1,2 | 1,2 |
| 21.00 | 013 | სტაბეკი-მოსი | 1,45 | 3,6 | 6,5 | 1 | 1,15 | 2,3 |
| 21.00 | 014 | ვიკინგი-ლინი | 2,0 | 3,3 | 3,2 | 1,2 | 1,2 | 1,6 |
| 21.00 | 015 | ვოლერენგა-ბრინი | 1,6 | 3,6 | 4,4 | 1,1 | 1,15 | 1,95 |
| | | **24 ივნისი** | | | | | | |
| 23.30 | 016 | ბრანი-როზენბორგი | 3,4 | 3,3 | 1,9 | 1,65 | 1,2 | 1,2 |

**23 ივნისი 15:00. რამდენი პილოტი დაამთავრებს რბოლას 7003**

| | |
|---|---|
| 11 ან ნაკლები | 3,0 |
| 12 ან 13 | 3,6 |
| 14 ან 15 | 3,6 |
| 16 ან მეტი | 3,6 |

**ფორმულა 1. IX რბოლა (ევროპა. ნიურბურგრინგი)**

**23 ივნისი 15:00**

| 7001 გამარჯვებული | | სამეული | | ექვსეული | | 7002 უსწ. წრე |
|---|---|---|---|---|---|---|
| მ.შუმახერი | 1,55 | 7101 | 1,1 | 7201 | 1,03 | 2,2 |
| მონტოია | 4,0 | 7102 | 1,35 | 7202 | 1,15 | 2,8 |
| ბარიკელო | 5,0 | 7103 | 1,45 | 7203 | 1,3 | 3,0 |
| რ.შუმახერი | 6,0 | 7104 | 1,7 | 7204 | 1,3 | 5,0 |
| კულთარდი | 10,0 | 7105 | 3,0 | 7205 | 1,5 | 15,0 |
| რაიკონენი | 20,0 | 7106 | 4,0 | 7206 | 1,75 | 30,0 |
| ტრული | 50,0 | 7107 | 10,0 | 7207 | 3,0 | 75,0 |
| ბატონი | 75,0 | 7108 | 12,0 | 7208 | 3,0 | 100,0 |
| ფიზიკელა | 75,0 | 7109 | 12,0 | 7209 | 3,0 | 100,0 |
| ჰაიდფელდი | 100,0 | 7110 | 15,0 | 7210 | 3,2 | 100,0 |

| 1-ლი ტაიმი/ძირითადი დრო | | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **22 ივნისი** | | | | | | | | | |
| 11.30 | 1159 | ესპანეთი-კორეა | 3,0 | 10,0 | 20,0 | 3,8 | 4,2 | 6,0 | 20,0 | 10,0 | 5,6 |
| 16.30 | 1160 | სენეგალი-თურქეთი | 4,0 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,2 | 4,4 | 20,0 | 10,0 | 4,0 |


## მსოფლიოს ჩემპიონატის დღეებში

# კროკო

ყოველდღიურად (ორშაბათის ჩათვლით) იმუშავებს

**სამუშაო საათები 9⁰⁰ — 19⁰⁰**

მსოფლიოს ჩემპიონატის მატჩების პირდაპირი რეპორტაჟების (ერთდროულად დანიშნული შეხვედრების შემთხვევაში, ორივე მატჩის პარალელურად) ნახვა და მოგებული თანხის თამაშის დამთავრებისთანავე მიღება შეგეძლებათ

## ნებისმიერ ბიუროში


| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **მსოფლიოს ჩემპიონატი. 1/4 ფინალი** | | | | | | |
| | | **ძირითადი დრო** | | | | | | |
| | | **22 ივნისი** | | | | | | |
| 11.30 | 159 | ესპანეთი-კორეა | 1,95 | 3,1 | 3,6 | 1,1 | 1,25 | 1,65 |
| 16.30 | 160 | სენეგალი-თურქეთი | 2,6 | 2,9 | 2,6 | 1,35 | 1,2 | 1,35 |

## I ტაიმის შედეგი

**22 ივნისი**

| | | | 1 | X | 2 |
|---|---|---|---|---|---|
| 11.30 | 1059 | ესპანეთი-კორეა | 2,5 | 2,1 | 3,6 |
| 16.30 | 1060 | სენეგალი-თურქეთი | 3,0 | 2,1 | 3,0 |

## რამდენი გოლი გავა მატჩში (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

**22 ივნისი**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 11.30 | 2059 | ესპანეთი-კორეა | 1,75 | 1,75 |
| 16.30 | 2060 | სენეგალი-თურქეთი | 1,75 | 1,75 |

## გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს

**22 ივნისი**

| | | | კი | არა |
|---|---|---|---|---|
| 11.30 | 2159 | ესპანეთი-კორეა | 1,65 | 1,85 |
| 16.30 | 2160 | სენეგალი-თურქეთი | 1,65 | 1,85 |

## რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს (ძირითადი დრო)

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი წაგებულად ჩაითვლება)

**22 ივნისი**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 11.30 | 2259 | ესპანეთი-კორეა | 1,7 | 2,2 |
| 16.30 | 2260 | სენეგალი-თურქეთი | 1,9 | 1,9 |

## რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

**22 ივნისი**

| | | | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|---|
| 11.30 | 2959 | ესპანეთი-კორეა | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 16.30 | 2960 | სენეგალი-თურქეთი | 3,0 | 2,8 | 2,0 |

## შემდეგ ეტაპზე გასვლა

**22 ივნისი**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 11.30 | 3959 | ესპანეთი-კორეა | 1,45 | 2,3 |
| 16.30 | 3960 | სენეგალი-თურქეთი | 1,8 | 1,8 |

## ჩემპიონი

**22 ივნისი. 11.30**

| | | |
|---|---|---|
| 3651 | ბრაზილია | 1,8 |
| 3655 | გერმანია | 3,5 |
| 3654 | ესპანეთი | 4,0 |
| 3662 | კორეა | 10,0 |
| 3660 | სენეგალი | 15,0 |
| 3661 | თურქეთი | 15,0 |

## რომელი კონტინენტის ქვეყანა გახდება ჩემპიონი

**22 ივნისი. 11.30. 3801**

| | |
|---|---|
| ევროპა | 1,6 |
| ამერიკა | 1,8 |
| აზია | 10,0 |
| აფრიკა | 15,0 |

**ჩოგბურთი**

**უიმბლდონი**

**24 ივნისი 14:00**

| 8001 გამარჯვებული კაცი | | 8002 გამარჯვებული ქალი | |
|---|---|---|---|
| ჰენმანი | 4,4 | ვ.უილიამსი | 2,0 |
| ჰიუიტი | 4,4 | ს.უილიამსი | 2,5 |
| აგასი | 5,0 | კაპრიატი | 5,0 |
| სამპრასი | 7,0 | ჰენინი | 10,0 |
| ფედერერი | 7,0 | კლაისტერსი | 15,0 |
| საფინი | 10,0 | დოკიჩი | 20,0 |
| როდიკი | 15,0 | სელეში | 25,0 |
| ქსუელე | 20,0 | ჰანტუხოვა | 50,0 |
| ფილიპუსისი | 20,0 | მორესმო | 50,0 |
| რუსედსკი | 20,0 | დემენტიევა | 75,0 |
| კაფელნიკოვი | 25,0 | პრატი | 100,0 |
| იოჰანსონი | 25,0 | კურნიკოვა | 100,0 |
| კანასი | 50,0 | | |
| მარტინი | 50,0 | | |
| კოფერი | 50,0 | | |
| კრაიჩეკი | 50,0 | | |


## კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ

# რა კაცი: NBA კაცი! ჯერი ვესტმა ნიკა ცქიტიშვილის საქმეში ნახვა პირადად ისურვა



**იტალიის** ჩემპიონ „ბენეტონის" ქართველი ფორვარდი ნიკა ცქიტიშვილი ხვალ ამერიკაში მიემგზავრება. შესაძლოა, მან დრაფტისწინა ვარჯიშებს ვერ ჩაუსწროს — ისინი საცაა დასრულდება. სამაგიეროდ ცქიტიშვილი ნბა-ს ცოცხალ ლეგენდას, პროფესიული ლიგის ლოგოს დამამშვენებელ ჯერი ვესტს აუცილებლად შეხვდება, რომელიც ამჟამად „მემფის გრიზლისის" გენერალური მენეჯერია. ეს გუშინ თავად ნიკამ გვითხრა, ტრევიზოში რომ დავუკავშირდით. თავად კი ეს ამბავი ამერიკიდან მენეჯერ მარკ ფლეიშერისგან ფაქსით შეიტყო.

— ფლეიშერი მატყობინებს, რომ ჯერი ვესტს სურს, მნახოს. აქედან ნიუ იორკში ჩავფრინდები და შესაძლოა, ვესტიც იქ დამხვდეს. თუ ასე ვერ მოხდა, მას მემფისში თავად ვეწვევი. ჩემი მენეჯერის თქმით, ჯერი ვესტი პირადად გამესაუბრება და მერე ცოტას მოედანზეც შემხედავს. ალბათ, ერთ-ორს გასროლინებენ და ჩაგატენინებენო.

ამის გარდა, ფლეიშერის შეტყობინება ერთ რჩევასაც შეიცავდა. ნიუ იორკში ჩაფრენილ ქართველ კალათბურთელს თეთრი ან ლურჯი პერანგი უნდა ეცვას. უკეთესი იქნება, თუ კოსტიუმითაც შეიმოსება. იგი ხომ ჩანსელიდან მცირე დროში ოთხი-ხუთი გუნდის წარმომადგენელს უნდა შეხვდეს, თან ჟურნალისტებთანაც მოუწევს გასაუბრება.

**ირაკლი ბერატაია**







ევროპის ვაჟთა მე-3 ჩემპიონატი. ბათუმი

# მავნე მშვიდობა

ევროპის ვაჟთა ჩემპიონატის მე-8 ტურის შემდეგ სატურნირო ცხრილის სათავე მყინვარწვერივით უძრავი დარჩა. 4 მოწინავე ერთურთში არკვევდა სიტუაციას, მაგრამ პოლონური დერბიც ყაიმით დასრულდა და რუსულიც. კერძოდ, ბარტოლომეი მაჩეიხამ ვერ ისარგებლა თეთრი ფიგურებით ბარტოშ სოკოსთან პარტიაში და ვერც ალექსანდრ გალკინმა ჩაიწერა ქულა დმიტრი იაკოვენკოსთან ბრძოლაში.

მდევრებს გაუჩნდათ შანსი: მოიგებდნენ და ლიდერთა მარაქაში ხვდებოდნენ, მაგრამ მე-8 ტურში მშვიდობის მტრედები უხვად ფრინავდნენ და 5-ქულიანთა კოჰორტაშიც ყველა პარტია ყაიმით დასრულდა. მაგალითად, ბადურ ჯობავა შავები გააწყო აზერბაიჯანელ შაჰრიაზ მამაჯანოვის პირისპირ და ნახევარი ქულა მიითვალა. ზურაბ სტურუამ თეთრებით რუს ანდრეი ხარლოვთან წააგო. ამაოდ ეცადნენ მოგებას ზვიად იზორია (ძლიერ ვლადიმირ ბაკლანს გაუყაიმა), დავით შენგელია და ვალერიან გაფრინდაშვილი. მაია ჩიბურდანიძესაც იმ ტურში ჩემპიონატის მესამე ნომერი, პოლონელი მიხაილ კრასენკოვი შეხვდა და დაეჩაგვრინა, ხოლო მერაბ გაგუნაშვილი და გიორგი ყაჭეიშვილი ერთ დაფაზე თამაშობდნენ და ერთმანეთი გაიტანეს.

ფინიშამდე 5 ტურით ადრე სიტუაცია სრულიად ბუნდოვანია. ისევ ოთხნი ლიდერობენ, ცხრანი კუდში მიჰყვებიან მგლებივით და არც სხვა 15 მგელია შორ სავალზე, ლიდერებს მხოლოდ ქულით ჩამორჩებიან. ევროპის მომავალი ჩემპიონი, ალბათ, ამ 29-ში უნდა ვეძებოთ.

**ვითარება 8 ტურის შემდეგ**

*1-4. ბარტოლომეი მაჩეიხა (პოლონეთი), ალექსანდრ გალკინი (რუსეთი), ბარტოშ სოკო (პოლონეთი), დმიტრი იაკოვენკო (რუსეთი) 6; 5-13. მიხაილ გურევიჩი (ბელგია), ანდრეი ხარლოვი (რუსეთი), სერგეი ვოლკოვი (რუსეთი), ალექსეი ფიოდოროვი (ბელარუსი), ბადურ ჯობავა (საქართველო), მიხაილ მარინი (რუმინეთი), შაჰრიაზ მამაჯანოვი (აზერბაიჯანი), გაბრიელ სარგისიანი (სომხეთი), მიქელე გოდენა (იტალია) 5,5; 14-29. მიხაილ კრასენკოვი (პოლონეთი), ალექსანდერ გიზაფი (გერმანია), ვლადიმირ ბაკლანი (უკრაინა), ვადიმ მილოვი (შვეიცარია), იან ელვესტი (ესტონეთი), გიორგი ყაჭეიშვილი (საქართველო), ვასილიოს კოტრონიასი (საბერძნეთი), შარუნას შულსკისი (ლიტვა), არტაშეს მინასიანი (სომხეთი), ზვიად იზორია (საქართველო), თამაზ გელაშვილი (საქართველო), მიხეილ მჭედლიშვილი (საქართველო), ვალერიან გაფრინდაშვილი (საქართველო), მერაბ გაგუნაშვილი (საქართველო), ვუგარ ჰაშიმოვი (აზერბაიჯანი), დავით შენგელია (საქართველო) 5*

**გუშინ...**

ბადურ ჯობავა ეთამაშებოდა გერმანიის მოქალაქე ალექსანდერ გრაფს, ვინც საბჭოთა ემიგრანტი და გვარიანი დიდოსტატია. პარტია რიკინ-რიკინით, 28 სვლაში დასრულდა. ჯობავამ ლაზიერის ფრთის პაიკებით შეუტია, მაგრამ გრაფს უნდოდა მშვიდობა და სხვა არაფერი, ამიტომ მუდმივი ქიში გამოაცხო.

გიორგი ყაჭეიშვილმა და ზვიად იზორიამ იშვიათი ქართული გატანის უნარი გამოამჟღავნეს. ლაზიერის გამბიტში თეთრებს (ყაჭეიშვილს) თავიდანვე პაიკი განუმხოლოვდათ, მაგრამ პარტიის საყაიმო რელსებზე გორვისთვის ამას ხელი არ შეუშლია და მხარეები 21 სვლაში ჩაეხუტნენ ერთმანეთს. ცხადია, ეს ყაიმები ქართველებს ვერ დააწინაურებს.

**დავით ზულუა**



# F1

მეცხრე ეტაპი — ევროპის დიდი პრიზი

## ნიურბურგრინგი

*ნიურბურგი, 23 ივნისი*

ეროვნული ბიბლიოთეკა




**ტრასის სიგრძე** . . . . . . . . . . . . . . . . 5.144 კმ
**რბოლის დისტანცია** . . . . . . . . . 60 წრე — 308.640 კმ

*რბოლა დაიწყება თბილისის დროით 17 საათზე*

**შარშანდელი შედეგები:** 1 მ.შუმახერი (ფერარი); 2 მონტოია (უილიამსი); 3 კულჰარდი (მაკლარენი); 4 რ.შუმახერი (უილიამსი); 5 ბარიკელო (ფერარი); 6 ჰაკინენი (მაკლარენი)

**წრის რეკორდი:** 2001 — მონტოია (უილიამსი) 1:18.354 (209,326კმ/სთ)

# გერმანიაში ევროპა დაგრძელდა

**ევროპის** დიდი პრიზის გათამაშება ოციოდე წლის წინ დაიწყო, მაგრამ ვერც რეგულარულობით გამოირჩა და ვერც მუდმივი ადგილმდებარეობით — ხან ინგლისი მასპინძლობდა და ხანაც ესპანეთი, ბოლო წლებში კი გერმანიაში დაიდო ბინა. ხვალინდელი რბოლა მხოლოდ მე-12 იქნება.

„ნიურბურგრინგმა" უსაფრთხოების მიზნით წლეულს საგრძნობი ცვლილება განიცადა — სტარტის შემდგომ მონაკვეთზე, სადაც ხშირი იყო ავარიები, სამი ახალი მოსახვევი გაჩნდა და წრეც თითქმის 600 მეტრით დაგრძელდა. ასე რომ, ხუან პაბლო მონტოიას სიჩქარის შარშანდელი სარეკორდო მიღწევა იქნება სამუდამოც აღმოჩნდეს.

რაკი ეს საფორმულო ამბავი ხდება გერმანიაში, სადაც ფეხბურთი, მიხაელ შუმახერის ხემილწევათა მიუხედავად, მაინც უპირველესი სახეობაა, ვარჯიშისა და კვალიფიკაციის დაწყების დრო შეიცვალა, რათა გულშემატკივრებს, მათ შორის ბავშვობაში მობურთალ მიხაელსაც, მსოფლიოს ჩემპიონატის მეოთხედფინალური მატჩების ნახვა შესძლებოდათ.

სახვალიო რბოლაში უმთავრეს ფავორიტად ევროპაში მოგებებით რეკორდსმენი და მიმდინარე სეზონის ლიდერი მიხაელ შუმახერი ითვლება. სავარაუდო მეტოქეობაც, ცხადია, ტრადიციული ჰყავს — მაკლარენელი დევიდ კულჰარდი, რომელიც ბოლო ექვსი რბოლაა, უქულოდ არ რჩება, თანაფერარელი რუბენს ბარიკელო და უილიამსელები: ხუან პაბლო მონტოია და რალფ შუმახერი. აღსანიშნავია აგრეთვე, რომ აშკარად ნიჭიერი, თუმც უხეირო მანქანიანი ჯანკარლო ფიზიკელა ხვალ მეასედ გავა სტარტზე, თავად მიხაელს კი ლეგენდარული ალენ პროსტის პოდიუმების სარეკორდო რაოდენობასთან (106) გათანაბრების მშვენიერი შანსი აქვს.

გუშინ, პირველ ვარჯიშზე საუკეთესო დრო ბარიკელომ და მიხაელ შუმახერმა აჩვენეს. მეორე გასვლაზე კულჰარდმა მათ შედეგებს ორი წამი ჩამოაკლო და განახლებული „ნიურბურგრინგის" რეკორდსმენიც შეიქნა.



განახლებულ წრეზე უსწრაფესი დევიდ კულჰარდის „მაკლარენი" იყო

**ფლევანდელთა ევროპული მონაგარი**

| | რბოლა | ადგილი ჩასათვლელ ექვსეულში 93 | 94 | 95 | 96 | 97 | 99 | 00 | 01 | ქულა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| მ. შუმახერი | 7 | გ | I | I | II | გ | | I | I | 46 |
| კულჰარდი | 6 | | | III | III | II | გ | III | III | 22 |
| ვილნევი | 5 | | | | I | III | გ | გ | - | 14 |
| ბარიკელო | 8 | გ | - | IV | V | გ | III | IV | V | 14 |
| ტრული | 4 | | | | | გ | II | გ | გ | 6 |
| მონტოია | 1 | | | | | | | | II | 6 |
| რ. შუმახერი | 4 | | | | | გ | IV | გ | IV | 6 |
| ირვინი | 8 | გ | IV | VI | გ | V | - | გ | - | 6 |
| ფიზიკელა | 5 | | | | - | გ | გ | V | - | 2 |
| ფრენცენი | 7 | | VI | გ | გ | VI | გ | გ | გ | 2 |
| დე ლა როსა | 3 | | | | | | გ | VI | - | 1 |
| პანი | 5 | | - | გ | გ | გ | | | გ | 0 |
| სალო | 5 | | | - | - | გ | გ | გ | | 0 |
| ბატონი | 2 | | | | | | | - | - | 0 |
| ჰაიდფელდი | 1 | | | | | | | | გ | 0 |
| ბერნოლდი | 1 | | | | | | | | გ | 0 |
| რაიკონენი | 1 | | | | | | | | - | 0 |
| იონგი | - | | | | | | | | | - |

შენიშვნა: გ - რბოლას გამოეთიშა;
1998 წელს „ნიურბურგრინგზე" ლუქსემბურგის დიდი პრიზი გათამაშდა;
ცხრილში არ არიან დებიუტანტები — სატო, მასა, მაკნიში, ვებერი

დსთ-ს, ბალტიის, რუსეთის რეგიონების ჭაბუკთა სპორტული თამაშები. მოსკოვი

**21 ივნისი**

**ხელბურთი**

ვაჟები. მეორე ეტაპი

**საქართველო 20:33 ბელარუსი**

**კალათბურთი**

ვაჟები. მეორე ეტაპი

**საქართველო 98:53 ლატვია**

გოგონები. მეორე ეტაპი

**საქართველო 77:87 რუსეთის ც. ო.**

**ჩოგბურთი**

ნახევარფინალი

**ანა ჩაკვეტაძე** (რუსეთი) — **თინათინ ყაველაშვილი** (საქართველო) 4:6, 7:6 (6:4), 6:2



## გუშინ...

**ORDINA OPEN**
დენ ბოსხი. ჰოლანდია. ბალახი
საპრიზო 930 ათასი $

**ვაჟები. მეოთხედფინალი**

**არნო კლემანი** (7, საფრანგეთი) — **ლეიტონ ჰიუიტი** (1, ავსტრალია) ჰიუიტმა ტურნირი მიატოვა; **სხენგ შალკენი** (6, ჰოლანდია) — **როჯერ ფედერერი** (2, შვეიცარია) 3:6, 7:5, 6:3; **ტომი რობრედო** (4, ესპანეთი) — **ივეს ალეგრო** (შვეიცარია) 6:4, 6:2; **გილერმო კანასი** (3, არგენტინა) — **სედრიკ პიოლინი** (საფრანგეთი) 7:6 (8:6), 6:3

**ქალები. ნახევარფინალი**

**ელენი დანილიდუ** (საბერძნეთი) — **ჟუსტინ ენენი** (2, ბელგია) 4:6, 7:6 (11:9), 6:3; **ელენა დემენტიევა** (4, რუსეთი) — **ტინა პისნიკი** (სლოვენია) 6:2, 6:0

**SAMSUNG OPEN**
ნოტინგემი. ბალახი
საპრიზო 381 ათასი $

**ნახევარფინალი**

**იონას ბიორკმანი** (შვედეთი) — **გრეგ რუზედსკი** (3, ბრიტანეთი) 6:3, 6:4; **უეინ არტურსი** (ავსტრალია) — **მიხელ კრატოხვილი** (6, შვეიცარია) 7:6 (7:5), 6:2

**EASTBOURN INTERNATIONAL CHAMPIONSHIPS**
ისტბორნი. ინგლისი. ბალახი
საპრიზო 585 ათასი $

**ნახევარფინალი**

**ანასტასია მისკინა** (რუსეთი) — **დანიელა ჰანტუხოვა** (3, სლოვაკეთი) 6:2, 6:4; **ჩანდა რუბინი** (აშშ) — **დაჯა ბედანოვა** (ჩეხეთი) 6:4, 6:1

## ვაჟების ბადე

1/32 — 1/16 — 1/8 — 1/4 — 1/2

- პიუიტი (1) — ბიორკმანი
- კარა — მამიტი
- ნოული — ლოდრა
- მაკინი — ნიემინენი (32)
- გაუდიო (24) — გუზმანი
- ვაალი — იუჟნი
- აკასუსო — როსე
- ბოგდანოვიჩი — ესკუდე (16)
- ფერერო (9) — გოდვინი
- ოკუნი — მორისონი
- ჩანგი — ბურგსმიულერი
- პლესი — შალკენი (18)
- სანტორო (25) — კალერი
- კუტელო — ვოინეა
- გოლმარი — ვაჩეკი
- ანჩიჩი — ფედერერი (7)
- ჰენმანი (4) — ბაშელო
- კარატი — დრეიპერი
- პორტასი — ფერეირა
- დელგადო — ლუბიჩიჩი (30)
- რობრედო (20) — სლოიტერი
- სტეპანეკი — საულნიე
- დავიდენკო — კრატოხვილი
- ლაბაძე — ელ აინაუი (13)
- კანასი (10) — კოლმანი
- ლოპესი — ეკონომიდისი
- ვისენტე — სარგსიანი
- არაზი — შუტლერი (17)
- კუბეკი (31) — ბოვერი
- დიუპუი — სა
- ვასკე — გაუდენცი
- სარეტა — იუჰანსონი (8)
- კაფელნიკოვი (5) — ჰრბატი
- ტომანი — ჰიპფლი
- სპადეა — ლარსონი
- ბლანკო — მალისი (27)
- რუზეცკი (23) — მელზელი
- ლი — სტოლიაროვი
- მარტინი — გალვანი
- ულირახი — როდიკი (11)
- ენკვისტი (14) — პარმარი
- ფილიპუსისი — ბუტე
- ბალსელსი — კიფერი
- გონსალესი — ჩელა (19)
- ბლეიკი (29) — საბალეტა
- კრაიჩეკი — სკილარი
- შრიჩაფანი — ბრასინგტონი
- ლევი — აგასი (3)
- სამპრასი (6) — ლი
- მანტილა — ოკლენდი
- მატიე — კლავეტი
- სანჩესი — ნალბანდიანი (28)
- მირნი (21) — დენტი
- მასუ — გემბილი
- რასელი — არტურსი
- მელიგენი — ნოვაკი (12)
- პაველი (15) — კარლსენი
- სიმონი — ბეკი
- კოუენი — სავოლტი
- დელგადო — ლაპენტი (22)
- მარტინი (26) — სანგვინეტი
- კლემანი — მონტანესი
- ქ. როშუ — ო. როშუ
- პიოლინი — საფინი (2)

## უიმბლდონი 2002

# იოზე, ოზო!

## ჰიუიტი ავსტრალიის 15-წლიანი შანსია



უიმბლდონის შარშანდელი ტრიუმფატორი გორან ივანიშევიჩი

**არც ისე** წარმატებული, მაგრამ არც ისე წარუმატებელი სათიხნარე სეზონის შემდეგ — და თიხა მისი საყვარელი საფარი არასოდეს ყოფილა — ლეიტონ ჰიუიტი წლეულს კარიერის პირველი უიმბლდონის მოგებას ეცდება.

ამბობენ, რომ ეს 21 წლის ავსტრალიელი ბიჭი ამ ტურნირის უმთავრესი ფავორიტია.

მან თავადაც კარგად იცის, რომ ყველაფერი აქვს საიმისოდ, რათა ავსტრალიას 15 წლის განმავლობაში — ანუ პატ კეშის ზეობის მერე — მოუგებელი სლემტიტული მოუხვეჭოს.

15 უუიმბლდონო წელიწადი ძალიან, ძალიან დიდი დროა სრულიად საოზეთისთვის, რომელიც თავს ერთ-ერთ საჩოგბურთო ზესახელმწიფოდ აცხადებს.

ჰიუიტმა იცის, რომ მას ჩოგანეწიფება ამ ნავსის გატეხვა.

„ახლა ძალზე თავდაჯერებული ვარ“ — მის სიტყვებში კაცთა უეჭველი პირველოსნის მუქარა გამოკრთის, მუქარა ხვალისა, ვინაც მთავარჩოგანს უკვე ზედიზედ მესამე სლემტურნირზე გააქნევს.

„თუკი ძალას და შემართებას მეორე კვირაშიც გადავიყოლებ, ყველაფერი რიგზე იქნება. უიმბლდონზე იმ შეგნებით მივდივარ, რომ სლემტიტულის მოპოვება დასტურ შემიძლია. ამაში შარშან, აშშ-ის ღია პირველობაზე გამარჯვების მერე დავრწმუნდი. თან წელს ბალახზეც უფრო გამოცდილი ვარ და ჩემს შანსებს ეს ერთიორად ზრდის“.

ბალახსეზონი კი მან მართლაც საუცხოოდ დაიწყო და წინა კვირაში მეოთხე კაცი გახდა, ვინაც ქუინზკლაბურ ტურნირზე ზედიზედ სამჯერ გამარჯვება შეძლო.

ამის გამკეთებელი ლეგენდარული მეჩოგნენი — ახალზელანდიელი ენტონი უილდინგი, ავსტრალიელი როი ემერსონი და ამერიკელი ჯონ მაკინროი თავ-თავის დროზე უიმბლდონის ჩემპიონებიც იყვნენ.

„ო, ეს დიდებული გამარჯვებაა — იძახდა ტიმ ჰენმანთან მოგებული ფინალის შემდეგ ჰიუიტი — სამი წლის წინ ამის წარმოდგენასაც ვერ გავბედავდი, მაგრამ წლიდან წლამდე და წრიდან წრემდე მე სულ უფრო კარგად ვთამაშობდი და სამივე ტიტული, ვფიქრობ, დამსახურებულადაც მივითვალე“.

სხვათა შორის, ჰიუიტი ჯონ ნიუკომბის შემდეგ (1974) პირველი მთავარგანთესილი ავსტრალიელია და, მართალია, როდ ლეივერის 33 წლის წინანდელი გამარჯვებიდან მოყოლებული პირველ ნომრად განთესილ ავსტრალიელს უიმბლდონი აღარ მოუგია, მაგრამ ჰიუიტს შეუძლია, უფრო ძველი მაგალითებით იხელმძღვანელოს.

მაგალითები კი, იცოცხლეთ, ბევრია:

თავად ლეივერმა იქ 1961-62, 1968 და — ზემოთაც ვთქვით — 1969 წლებში მოიგო, ფრენკ სედგმენი 1952-ში გაჩემპიონდა, ლიუ ჰოუდი 1956-57 წლებში პირველობდა, ეშლი კუპერმა 1958-ში იხეირა, ნილ ფრეზერმა - 1960-ში, ხოლო როი ემერსონის საიუმბლდონო ზეობა 1964-65 წლებზე მოდის.

„მე არ ვთრგუნავ ჩემს თავს იმაზე ფიქრით, რომ ტურნირზე უპირველესი ჩოგანი მეპყრობა — ამბობს ჰიუიტი — მთავარგანთესილი ავსტრალიის ღია პირველობასა და როლან გაროსზეც ვიყავი და განსაკუთრებული დისკომფორტი ამას ჩემთვის არ შეუქმნია“.

„რაც შეეხება უიმბლდონს, მერვედფინალს მიღმა აქ არასოდეს გამიღწევია. ამიტომ აქაურ კორტებზე წარმატების მიღწევას ჩემთვის გამორჩეული მულამი აქვს“.

ოღონდ — ამ წარმატების მისაღწევად ჰიუიტს წამით მოდუნების უფლება არ ექნება. მძიმე ბრძოლა მას პირველსავე წრეში ელის, სადაც შვედ იონას ბიორკმანს უნდა დაუპირისპირდეს. ჰიუიტს მისთვის ოთხივე პირადი მატჩი მოუგია, მაგრამ ბიორკმანი მსოფლიოში ერთ საუკეთესო მიმღებად ითვლება და შეუპოვარი მობურთალი გახლავთ.

მეოთხე წრეში კი ბადემ ავსტრალიელს ფრანგი ნიკოლა ესკუდე ჩაუსაფრა.

პირად შეხვედრებში ესკუდე ჰიუიტს 3:2 უგებს. აქედან ერთი შეხვედრა მან შარშან სწორედ უიმბლდონის მეოთხე წრეში მოუგო, ხოლო მეორე შარშანდელი სეზონის დამლევს, დევისის თასის ფინალში.

ორივე მატჩი — და ყველაზე მთავარი ეგაა — ბალახსაფარზე გაიმართა.

მერე კი შეიძლება ჰენმანი იყოს, ჯიშად მებალახე და ბადესთან მოპაექრეთა შორის ერთი ყველაზე ჩაუქი მეჩოგნე, სამგზის უიმბლდონის ნახევარფინალისტი, რომელსაც — ცოდვა გამხელილი სჯობს — ჰიუიტი ზედიზედ ორი წელია, ქუინზკლაბურ ფინალში არბევს.

ეროვნული

„ის მსოფლიოს საუკეთესო მოთამაშეა, ფენომენური, უძლავრესი მოპაექრე“ — ეს ხოტბმა ჰენმანმა ჰიუიტს წინა კვირას, სწორედ წაგებული ფინალის შემდეგ შეასხა.

სხვაფრივ — ჰიუიტის სავარაუდო მძლავრ მეტოქეთა შორის უიმბლდონის არც ერთი ჩემპიონი და არც ერთი ფინალისტი არ არის. ყველა სახელიანი მეჩოგნე ბადის ქვედა ნახევარზეა ანუ ავსტრალიელს ფინალამდე მათთან შეხლა არ ემუქრება.

ქვევით კი მართლაც ბევრნი არიან — შვიდგზის მეუიბლდონე პიტ სამპრასი, მსოფლიო მეორე ჩოგნის მჭნეველი მარატ საფინი, შვიდგზის მესლემტიტულე ანდრე აგასი და დიდი სლემის ტურნირებზე ორჯერ გამარჯვებული ევგენი კაფელნიკოვი.

ამათგან ყველაზე დიდი ყურადღება — ცხადია — პიტ სამპრასს მიექცევა. დიად ელინოამერიკელს ორი წლის წინ უიმბლდონის მოგების შემდეგ არც ერთი ტიტული აღარ მოუგია და საჩემპიონო ფორმაში ახლაც ვერ არის, თუმც თავის ჩამოწერას არავის ურჩევს და ჯადოსნურ გადასხვაფერებას გვპირდება.

10 წლის წინანდელი მიღწევის განმეორებას ეცდება ანდრე აგასი, ვინაც შარშან და შარშანწინ იქ მტკივნეული სანახევარფინალო მარცხები იწვნია.

საფინი იქ არასოდეს გასცდენია მეოთხედფინალს, მაგრამ მისი ჯანისა და ნიჭის მობურთალს ნებისმიერი მეტოქის დამორჩილება ძალუძს.

ამათგან რომელმაც არ უნდა გაუძლოს ორკვირიან მარათონს, ტიტულის აფერუმად ღირსი იქნება.

ოღონდ საფინალოდ ყველას დიდი მარაგით მისვლა უჯობს — იქ ალბათ თავისი პირველი საუიმბლდონო სკალპის მოსურნე ჰიუიტი დაელოდებათ.

**ლევან ძელაურაძე**



ლეიტონ ჰიუიტი

### ვაჟთა რეკორდები

| |
|---|
| ყველაზე მეტი ტიტული ერთეულებში |
| **პიტ სამპრასი და უილიამ რენშოუ — 7** |
| უმრწემესი ჩემპიონი |
| **ბორის ბეკერი — 17 წელი და 227 დღე (1985)** |
| ყველაზე ასაკოვანი ჩემპიონი |
| **არტურ გორი — 41 წელი და 182 დღე (1909)** |
| ყველაზე ხანმოკლე ფინალი |
| **უილიამ რენშოუ — ჯონ ჰარტლი 6:0, 6:1, 6:1 — 37 წუთი (1881)** |
| ყველაზე ხანგრძლივი ფინალი |
| **ჯიმი კონორსი — ჯონ მაკინროი 3:6, 6:3, 6:7 (2:7), 7:6 (7:5), 6:4 — 4 საათი და 16 წუთი (1982)** |
| ყველაზე მაღალი ჩოგბურთელი |
| **მილან შრაიბერი — 203 სმ (1986-1990)** |
| ყველაზე დაბალი ჩოგბურთელი |
| **ფრენკ ემსონი — 150 სმ (1948-53)** |

### უიმბლდონის ჩემპიონები 1960–2001

| | |
|---|---|
| 2001 | გორან ივანიშევიჩი |
| 2000 | პიტ სამპრასი |
| 1999 | პიტ სამპრასი |
| 1998 | პიტ სამპრასი |
| 1997 | პიტ სამპრასი |
| 1996 | რიჩარდ კრაიჩეკი |
| 1995 | პიტ სამპრასი |
| 1994 | პიტ სამპრასი |
| 1993 | პიტ სამპრასი |
| 1992 | ანდრე აგასი |
| 1991 | მიხაელ შტიხი |
| 1990 | სტეფან ედბერგი |
| 1989 | ბორის ბეკერი |
| 1988 | სტეფან ედბერგი |
| 1987 | პატ კეში |
| 1986 | ბორის ბეკერი |
| 1985 | ბორის ბეკერი |
| 1984 | ჯონ მაკინროი |
| 1983 | ჯონ მაკინროი |
| 1982 | ჯიმი კონორსი |
| 1981 | ჯონ მაკინროი |
| 1980 | ბიორნ ბორგი |
| 1979 | ბიორნ ბორგი |
| 1978 | ბიორნ ბორგი |
| 1977 | ბიორნ ბორგი |
| 1976 | ბიორნ ბორგი |
| 1975 | არტურ ეში |
| 1974 | ჯიმი კონორსი |
| 1973 | იან კოდეში — ალექსანდრე მეტრეველი 6:1, 9:8, 6:3 |
| 1972 | სტენ სმიტი |
| 1971 | ჯონ ნიუკომბი |
| 1970 | ჯონ ნიუკომბი |
| 1969 | როდ ლეივერი |
| 1968 | როდ ლეივერი |
| 1967 | ჯონ ნიუკომბი |
| 1966 | მანუელ სანტანა |
| 1965 | როი ემერსონი |
| 1964 | როი ემერსონი |
| 1963 | ჩაკ მაკკინლი |
| 1962 | როდ ლეივერი |
| 1961 | როდ ლეივერი |
| 1960 | ნილ ფრეიზერი |

# ვინუსი ჯოკონდა არ არის

## მისი ღიმილი ვერავის ატყუებს



ვინუს უილიამსს გამარჯვებულის ღიმილში წლეულს დაიკო შეეცილება

**ორი კვირის** წინ, ქალთა როლანგაროსული ფინალის შემდეგ, ფოტო თუ ტელეკამერებმა ერთი უცნაური კადრი დააფიქსირეს — დამარცხებული ვინუს უილიამსის გაღიმებული სახე.

მისი ეს ნაფინალევი ღიმილი ბევრის მიერ გრძნობათა ჭეშმარიტ გამოხატვად სულაც არ აღქმულა.

ეს ხალხი ფიქრობს, რომ თუკი ვინუსს უიმბლდონზე ზედიზედ მესამედ გაჩემპიონებას დაუშლიან — გინდაც დამშლელი მისი უმცროსი დაიკო იყოს — უფროსი უილიამსის სახე სრულიად განსხვავებულ იერს შეიძენს.

სერენას საროლანგაროსო წარმატების მიუხედავად, ალბათ არავის ექნება წლევანდელ უიმბლდონზე გამარჯვების ისეთი წყურვილი, როგორიც ვინუსს — მას ხომ შანსი აქვს, პირველი ქალი გახდეს, ვინაც შტეფი გრაფის შემდეგ (1991-93) იქაურობა ზედიზედ სამი სეზონის განმავლობაში აიკლო.

„მე არ ვფიქრობ დამარცხებებზე, მე მუდამ მომავლისკენ მიჭირავს თვალი. შანსები ურიგო არ უნდა იყოს" — ასე იგი სწორედ სერენასთან დამარცხების შემდეგ ამბობდა.

მართალია, უმცროსი შავდა კვლავაც მის უმთავრეს მოცილედ რჩება, მაგრამ ორგზის მეუიმბლდონისთვის ჩოგნის ტოლსწორად შებრუნება ჯენიფერ კაპრიატის, ელენა დოკიჩს, კიმ კლაისტერსსა და შარშანდელ ფინალისტ ჟუსტინ ენენსაც შეუძლიათ.

ოღონდ სანამ ამათზე რამე ითქმებოდეს, სერენას თემა ბოლომდე უნდა ამოიწუროს.

თავისი მეორე სლემტიტულის მოგებამ ეს 20 წლის გოგო არა მარტო კარიერის უმაღლეს, მეორე საკლასიფიკაციო საფეხურზე შეაყენა, არამედ მეორე საუიმბლდონო ჩოგანიც მოუნაგრა, რაიც იმას ნიშნავს, რომ შავდებმა შეიძლება მესამე შიდადური სლემფინალი ჩაითამაშონ.

მათი მამა რიჩარდი ჯერ კიდევ როდის იქადნიდა, რომ უიმბლდონს „უილიამსთა შოუდ" გადაქცევა ელოდა.

„უიმბლდონის მოგებაზე ყოველთვის ვოცნებობდი — ამბობს სერენა — საამისოდ ახლა ალბათ ისე მზად ვარ, როგორც არასდროს".

მესამე ნომრად განთესილი კაპრიატისთვის ეს ტურნირი საუცხოო შანსია, რათა ლაგამშიშვებული სეზონი ისევ თავის კონტროლს დაუმორჩილოს.

იანვარში, ავსტრალიის ღია პირველობაზე მარტინა ჰინგისთან უკუგებული სასწაული ფინალის შემდეგ ბუთქუნა ჯენიმ ეგრემც ვერ მოახერხა, იქაური ნადავლისთვის თუნდაც ქეციანი ტიტული შეემატებინა და ნელ-ნელა შავდათა ჩრდილში მოექცა.

თუკი ის და სერენა უკანასკნელ ოთხეულამდე მიაღწევენ, მაშინ მეფინალის გარკვევა ერთმანეთში მოუწევთ და ბედისწერად ქცეული ამ ჯანიანი თვისტომის ძლევას — მათი ოთხი უკანასკნელი შეხლიდან ოთხივე რიჩარდის ასულმა მოიგო — ჯენი ალბათ მთელს თავის ჯიგარს მოახმარს.

ახლა ბელგიელებს რაც შეეხებათ.

ჟუსტინ ენენი, რომელიც დედამიწიდან მხოლოდ მეტრსა და 67 სანტიმეტრს აითვლის და შარშან პირველი ბელგიელი გახდა, უიმბლდონის ფინალში რომ ითამაშა, როლან გაროსამდე უეჭველ ფავორიტთა შორის მოიხსენიებოდა.

მისი საუიმბლდონო პრეტენზიების საფუძვლიანობაში მილეთი მას შემდეგ დაეჭვდა, რაც რომ იგი როლან გაროსის პირველსავე წრეში უსახელო უნგრელმა, ანიკო კაპროშმა წაახდინა.

არადა, მანამდე ენენს წლეულს 5 ფინალამდე მიეღწია და, რაკილა „მთელკორტა" მოთამაშეა — ანუ უკანახაზიდან ხანგრძლივ ხათქუნს ბადესთან მიძალებასაც კარგად უხამებს — მისი ქომაგები იმედოვნებენ, რომ იგი შეძლებს ამ დასანანი მარცხის უკან მოტოვებას და კარიერის პირველი სლემტიტულისთვის შარშანდლის მსგავსად იჩოგნავებს.

ენენის თვისტომსა და მეგობარ კიმ კლაისტერსს კი ბოლოდროინდელი გამოსვლები დაშავებულმა მხარმა წაუბლალა. მაგრამ ის მშვენიერი მებალახსაფრეა და შარშანდელ მეოთხედფინალში ყოფილ ჩემპიონ ლინდსი დევენპორტთან დამარცხების გარდა, წყვილთა შორის ორ უიმბლდონურ ფინალში თამაშიც დაეკვეხნება.

სულ ბოლოს კი ელენა დოკიჩზეც მოვითათბიროთ. ეგ მით უფრო, რომ მაშინ, როცა მისი უმთავრესი კონკურენტები საშინაო კორტებზე ვარჯიშლებოდნენ, მან ედგბასტონისა და ისტბორნის ტურნირებზე დასაქმება ირჩია. თანაც პირველგან კარიერის პირველი საბალახო ტიტულიც მიითვალა.

უიმბლდონის ანალებში მარად ეწერება მის მიერ სამი წლის წინ მარტინა ჰინგისის პირველივე წრიდან ოტების ფაქტი. სულ მთლად ლაწირაკს, დოკიჩს ხელთ მაშინ მსოფლიოს 129-ე ჩოგანი ეპყრა.

მას შემდეგ კორტზე ბევრი წყალი დაილვარა და ბარაქიან იუგგოგოს დღეს უკვე ანგარიშგასაწევ ძალად ალიქვამენ.

ვერაფერს იტყვი — აღსაქმელი მას მართლაც ბევრი აქვს.

**ლევან ძილაურაძე**



სერენა უილიამსი

## ქალთა რეკორდები

| |
|---|
| ყველაზე მეტი ტიტული ერთეულებში |
| მარტინა ნავრატილოვა — 9 |
| უმრწემესი ჩემპიონი |
| შარლოტ დოდი — 15 წელი და 285 დღე (1887) |
| ყველაზე ასაკოვანი ჩემპიონი |
| შარლოტ კუპერ სტერი — 37 წელი და 282 დღე (1908) |
| ყველაზე ხანმოკლე ფინალი |
| სიუზან ლენგლენი — ირენ მელორი 6:2, 6:0 — 23 წუთი (1922) |
| ყველაზე ხანგრძლივი ფინალი |
| მარგარეტ სმიტ კორტი — ბილი ჯინ კინგი 14:12, 11:9 — 2 საათი და 28 წუთი (1970) |
| ყველაზე მაღალი ჩოგბურთელი |
| ლინდსი დევენპორტი— 189 სმ (1993-2001) |
| ყველაზე დაბალი ჩოგბურთელი |
| კლერ ბოუინგი — 145 სმ (1937-38) |

## უიმბლდონის ჩემპიონები 1960-2001

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 2001 | ვინუს უილიამსი | 1987 | მარტინა ნავრატილოვა | 1973 | ბილი ჯინ კინგი |
| 2000 | ვინუს უილიამსი | 1986 | მარტინა ნავრატილოვა | 1972 | ბილი ჯინ კინგი |
| 1999 | ლინდსი დევენპორტი | 1985 | მარტინა ნავრატილოვა | 1971 | ივონ გულაგონგი |
| 1998 | იანა ნოვოტნა | 1984 | მარტინა ნავრატილოვა | 1970 | მარგარეტ სმიტ კორტი |
| 1997 | მარტინა ჰინგისი | 1983 | მარტინა ნავრატილოვა | 1969 | ენ ჰეიდონ ჯონსი |
| 1996 | შტეფი გრაფი | 1982 | მარტინა ნავრატილოვა | 1968 | ბილი ჯინ კინგი |
| 1995 | შტეფი გრაფი | 1981 | კრის ევერტ ლოიდი | 1967 | ბილი ჯინ კინგი |
| 1994 | კონჩიტა მარტინესი | 1980 | ივონ გულაგონგ კოული | 1966 | ბილი ჯინ კინგი |
| 1993 | შტეფი გრაფი | 1979 | მარტინა ნავრატილოვა | 1965 | მარგარეტ სმიტი |
| 1992 | შტეფი გრაფი | 1978 | მარტინა ნავრატილოვა | 1964 | მარია ბუენო |
| 1991 | შტეფი გრაფი | 1977 | ვირჯინია უეიდი | 1963 | მარგარეტ სმიტი |
| 1990 | მარტინა ნავრატილოვა | 1976 | კრის ევერტი | 1962 | კარენ ჰანც სუსმანი |
| 1989 | შტეფი გრაფი | 1975 | ბილი ჯინ კინგი | 1961 | ანჯელა მორტიმერი |
| 1988 | შტეფი გრაფი | 1974 | კრის ევერტი | 1960 | მარია ბუენო |

## ქალების ბადე

ეროვნული ბიბლიოთეკა

1/32 — 1/16 — 1/8 — 1/4 — 1/2

ვ. უილიამსი (1) — [illegible]
რეში — პასკალი
დრეიკი — მიქაელიანი
კრეიბასი — სუარესი (28)
შნიდერი (17) — პერებინისი
ბაიგბედერი — მარტინესი
პრაკუსია — ნეიდელი
სრებოტნიკი — რეიმონდი (16)
ფარინა-ელია (10) — ფრეზერი
ჰოპკინსი — რიტნერი
კოლინი — გალიარდი
ვიოლეტი — მალეევა (19)
კუტცერი (32) — გუბაში
ვენტო-კაბჩი — ბალტაჩა
ვინჩი — ლიხოვცევა
რივესი — კლაესტერსი (5)
სელეში (4) — ბესი
გერში — დე ლოს რიოსი
რაზანო — კიტავონგი
ონდრასკოვა — სუგიამა (27)
ტანასუგარნი (20) — სანჩესი
გაბრინი — კანდარი
ირვინი — ტუ
ვიჯაჯა — სმაშნოვა (15)
დემენტიევა (12) — ლამადე
ლი — ლუა
ზვონარევა — სერა-ძანეტი
პიშნიკი — მაიოლი (23)
შეტი (29) — ბლეკი
კაზანოვა — ნაგიოვა
მიულერი — ჰლადკოვა
რიპნერი — ენენი (6)
ტესტიუ (8) — ბარნა
მოლიკი — პირსი
ზვერევა — ვაინგარტნერი
გრანვილი — პრატი (31)
მისკინა (18) — დიურბერგი
არნი — სელიუტინა
სერნა — გრანდე
ბენესოვა — მორესმო (9)
შონეზი (13) — ალი
ორემანსი — ფუსაი
კოსტანიჩი — დანილიდუ
ობრატა — ალ. სტივენსონი (24)
ბედანოვა (26) — ნიულანდერი
სფარი — ბრენდი
ფიდკოვა — მორერო
ჰუსაროვა — კაპრიატი (3)
დოკიჩი (7) — ტატარკოვა
ჰრდლიჩკოვა — ფორეცი
პუჩეკი — მონტოლიო
დიას-ოლივა — დეში (25)
კრემერი (22) — ლეონ გარსია
მატევეჩი — პალინი
სუხა — ოსტერლო
ტორეს-ვალერო — ჰანტუხოვა (11)
ტულიაგანოვა (14) — ტალაია
აზ. სტივენსონი — რუბინი
სერა-ძანეტი — ბოვინა
კურნიკოვა — პანოვა (21)
ფერნანდესი (30) — ჩერვანოვა
კალენსი — შვარცი
მანდულა — სკიავონე
დომინიკოვიჩი — ს. უილიამსი (2)

# გულშემატკივრები



REUTERS

პარასკევი დიდი დღე იყო მსოფლიოს ჩემპიონატზე. ასე გამოვიდა, რომ დიდი თამაშის წინ, ბრაზილიელებსა და ინგლისელებს შორის რომ უნდა გამართულიყო შიზუოკაში, არც ჩხუბი ყოფილა და არც რამე, მეტიც, სტადიონის მისადგომებთან დიდი დაძმობილებაც კი შეიმჩნეოდა. შილიფად მორთულ სამბა გოგოებს მავანი ინგლისელი ფანიც კი ჩაეხუტა. ინგლისელ გოგოებს ბრაზილიურ ყაიდაზეც კი ჩაეცვათ და ეროვნული დროშები გამოეხატათ მკერდზე. საერთოდ, შოუქალივით ქცევა და ტრიბუნებზე რხევა-რხევით თავის მოწონება პარასკევს სხვა ქალაქში, კორეულ ულსანშიც შეიმჩნეოდა. მავანი კალიფორნია დოლი მთელს მსოფლიოს უჩვენებდა თავის სილამაზეებს.

მთავარი მოვლენებიდან შორს კი ნაირგვარი ქომაგები, ცხადია, ნაირგვარად იქცეოდნენ. ინდოეთში, კალკუტაში ბრაზილიელთა მავან ქომაგს რიქშა უქირავებია და ისე წასულა ერთ ინდურ კაფეში მატჩის საცქერლად. კალკუტაში, ინდური ფეხბურთის მექაში მრავალი გიჟმაჟი ქომაგი ცხოვრობს. სხვა გიჟმაჟ ქომაგებს ადრიან დილით, სიცივეში მოუნიათ ინგლის — ბრაზილიის ცქერა. ბრიტანეთში, განთქმულ და იდუმალ სტოუნჰენჯთან, სადაც მილიონობით ტურისტი მიეშურება ქვის მაგიური სოფლის დასათვალიერებლად, ტურისტები დილის რვის ნახევარზე, ნისლში ჩაუსხდნენ ტელერეპორტაჟს.

კაცი კი, რომელსაც სჯეროდა, რომ ამერიკის ნაკრები მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალში გავიდოდა, გუშინ თეთრი სახლის ეზოში ნორჩ ფიზკულტურელებს ხვდებოდა. ჯორჯ ბუში ფეხბურთით ინტერესდება.



REUTERS



REUTERS



REUTERS



REUTERS





REUTERS


სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ პოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია:
რედაქტორი გიორგი დარჯანია
გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქცია: გია აზალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე
კორესპონდენტი გერმანიაში ვანო ოქროპირიძე
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, დავით ბიბილაშვილი, ელენე გელუტაშვილი, თამაზ გოგებაშვილი, ირინა გოგოლაშვილი, სვეტა დევაძე, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, ნინო ყუფუნია, მალხაზ ჭუმბურიძე
გამომშვები ზურაბ ინაშვილი



რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge